-75-
990

ᲚᲐᲣᲛᲐᲜᲕᲘᲚᲘ ᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

1920

№ II
თებერვალი
მოზრდილთათვის

ნაპერწალი

თებერვალი 1920 წ.

№ 2.

ობლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F5817

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ აღარ გალობს ბულბული შუადღისას

(ვუძღვნი პეტრე მირიანაშვილს).

აზის ფოთლებში ბულბული
სიცხეში, შუადღეშია
იჯდა და თავისუფლებას
უმღერდა, იყო ეშხშია.
ბაღი და მისი მიდამო,
შემკული ყვავილებითა,
თვალს სჭრიდა, გულსა სტაცებდა,
ატკბობდა სურნელებითა.

სამშობლო ქვეყნის სიტურფეს
ფასი არ დაედებოდა,
და იმის მგოსანს ბულბულსაც
მაშინ ვინ შეედრებოდა!?

მოზვავებული გრძნობითა,
მფრენმა ხმელზე და ცაზედა,
ველარაფერი გაიგო
და დაეძინა რქაზედა.

ვაზმა სთქვა: „შენი ჭირიმე,
რა ღვთიურადა ჰგალობსო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტა მას, ვისიც შვილია,
და იმას, ვისაც სწყალობსო.

დაიცა, გამოიღვიძოს;
ეგები მეძმობილოსო.
რა სახით მოვეწონები:
ვაჰმე, თუ გამაწბილოსო.

პირად მე არა ვვარგივარ,
ტანადაც ასე გონჯი ვარ.
ნიადაგ არ შემიყვარებს,
რა მაგის შესადარი ვარ!“

ვაზი რომ ასე ამბობდა,
მის გულმა ძაფი გააბა,
შემოახვია ბულბულსა
და ფეხით რქაზე დააბა.

მან ვერ გაიგო, რა მოხდა,
ისევ იმ ფიქრებში იყო;
გამოეღვიძა ბულბულს და
შტოზე ფრთხიალი დაიწყო!

ვაზი კი ყველაფერს მიჰხვდა,
ბულბულს კი ვერ რა გაეგო,
დღე-მზისით რა შემთხვევოდა,
ვის რა ხაფანგი დაეგო.
როდესაც გამოერკვია,
მწარედ ტირილი დაიწყო.
ვაზი სულებას მოუყვა:
„ვაჲო, რად სტირი, რა იყო?

სულ ვარდნარებში არ იჯდე,
ხანდახან აქაც მოდიო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამიჯე ახლოს, გვერდითა,
სიმღერაები სთქოდიო.

მეც მომწონს შენი გალობა,
ბიჭო, მეც დაგაფასებო.
ღმერთსა და სამშობლოს გარდა
ყველას შენ განაცვალებო.

ახლა მტევნები დამესხმის,
ჰკენკე, მერე სვი ღვინოო.
არ გინდა, შენი ჭირიმე,
მე -- ვაზი — გედობილოო?"

ბულბულმა ამოიკვნესა:
„გამიშვი, დედობილოო:
მე დიდხანს ყოფნა არ მიყვარს
ბებერი ქალის ახლოსო,
ხომ ჰხედავ იქი-აქეთა
თვალუწვდომ გარეშამოსო?
მწადიან ყველგან ნავარდი,
თავს ვევლებოდე მთა-ბარსო.
ნუ მიჭერ, შენ გეთაყვანე,
გამიშვი თავის ნებასო."

ვაზმა სთქვა: „ვინ შესწრებია
შეურაცხყოფას ამგვარსო?
მე ოთხი წლისაც არა ვარ,
ეგ კი მეძახის დედასო.

ბებერ ქალს მოგცემ, დაიცა,
დაგანატრულებ მთა-ბარსო.
ხელთ მყევხარ, დაგატუსაღებ,
გულზე დაგადებ შავ ქვასო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე რაღა ვაზი ვიქნები,
სულ მანდ ვერ დაგამყოფოო,
მშიერ-მწყურვალი დაგაღრძო,
სარზე ვერ ჩამოგახმოო.“

აქ ვაზი გაჭირვეულდა,
აღარ უხვევდა სულ-გულსა,
ჯავროობდა, მაგრა უჭერდა,
ეტირნებოდა ბულბულსა.

ბოლოს კი როსმე, რა ყოფით,
თავს ძლივს ეშველა ჩიტუნა:
დასცქვრა, გაფრინდა, შტოებზე
ბურტყლი ღა დაუნარჩუნა!

იტყვიან: „მერე ბულბული
არ ეკარება ვაზსაო,
დღე არცა ჰგალობს, მხოლოდა
ღამღამე იღებს ხმასაო.“

ბაჩანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებანი

ქალაქში*)

IV

ხალი ბინა ქალაქს გარედ იყო, სასაფლაოს ეკლესიის გალავანთან. მასპინძლებს კარგად შევეწყვე და ყველაფრით კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ მოხუცებულ მშობლების ერთად-ერთი პატარა ვაჟი არ ყოფილიყო ჩემი საზრუნავი.—შენთან არ მოსწყინდებაო,—ამბობდა ხოლმე დედა და მომისვამდა სწორედ მაშინ, როცა ამოცანებზე ვიტეხდი თავს.

— გომბიე და ტინტილაი**) რომაა, იგი წიგნი მიჩვენე ჩქარაო,—მაშინვე გააჩაღებდა ბავშვი ტირილს. მერე მომთხოვდა—მარბენინე და მახტუნავეო. თითონაც საკმაოდ მძიმე იყო და მისი წონის ოდენა სხვა რამე ეკიდა ყელზე: ათასნაირი ლოკოკინების ხოჭოჭოები, სადაფი, თხუნელას თათი, ვაშლის ხის ჯვარი, ავგაროზები და კიდევ ვინ ჩამოთვლის, რამდენი რა: ყველა ეს საიმედო ჯავშანი იყო ავი თვალის, ყურის, მზაკვავის, უჟმურის, ეშმაკების და სხვა მრავალი მავნე ძალების წინააღმდეგ. ბავშვი ხუთი წლის იყო, მაგრამ ძლივს დადიოდა,—დაბაჯბაჯებდა: ისე გაესიებია ტყირპს, რომ უკან გადაზნექილიყო და სუნთქვა უჭირდა. ჩემდა საუბედუროდ, ვიღაც დედაბერს

---

*) იხ. „ნაკადული“ 1919 წ. № 1.

**) ტინტილას გურიაში ხვლიკს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერჩია დედისთვის—ყოველ დღე ზურგზე მოკიდული ცხრაჯერ შამოატარეთ ლელვის ხის გარშემო, და გაუვლისო. როგორც იყო, ერთი თვის განმავლობაში ვწერე ჭაპანი—ვატარე ზურგით, მაგრამ ტყირპი სრულებითაც არ ფიქრობდა გაქრობას—კიდევაც მოიმატა. ვილაც პირშავს კიდევ ესწავლებინა—ავგაროზი გადააწერინე ვისმეს, ხმა მაღლა სამჯერ გადააკითხე ტყირპზე და უეჭველად გაუვლისო. მართლაც, ერთ საღამოს დიასახლისმა დიდი მოკრძალებით და პატივისცემით „შამოაბრძანა“ გაშლილ ხელებზე ჭუჭყიანი ქაღალდის ნაფლეთები და „დაასვენა“ მაგიდაზე.

— თუ ამას გადაიკითხავ და ლამაზად გადასწერ, მეტი მადლი არ გინდა—შენს მკვდრებსაც ეყოფა საცხონებლადო. გადავხედ-გადმოვხედე—შენი მტერი! ეკლესიის ყველა მამები რომ ამდგარიყვნენ, ვერ გაარჩევდენ თავ-ბოლოს და ამიტომ მტკიცე უარი განვაცხადე—არ მაქვს დრო მეთქი. ამის შემდეგ დიასახლისის ბუტბუტი ხშირად მესმოდა, მაგრამ იმას ვაფასებდი, რომ ჯაფა და სირცხვილი თავიდან ავიცდინე... რომც დამეწყო, მაინც ვერას გავარჩევდი და შევრცხვებოდი.

სხვა გასართობი აბა რა მქონდა—ხშირად დავდიოდი ხოლმე სასაფლაოზე, მეტადრე გაზაფხულზე, როდესაც ის ათასფრად გადაჟრიალებულს საყვავილეს წარმოადგენდა; ვათვალიერებდი ძეგლებს, ვკითხულობდი წარწერებს, მაგრამ ყვავილების მოკრეფას და თაიგულების შეკვრას ვერ ვბედავდი: უფრთხილდებოდი—მესანაკე ჯაჯიკას არ ვაწყენინო მეთქი.

დილიდან საღამომდე დაცოცავდა ჯაჯიკა ყვავილებში დოქით და თოხით ხელში, ყოველ ყვავილს გაბრწყინებული სახით მიუჩოქებდა, აცლიდა ბალახებს, ფრთხილად ურეკდა მტვერს ფოთლებზე, რწყავდა და ნელი საამური ხმით განუწყვეტლივ ლაპარაკობდა-ეალერსებოდა.

— დაილოცე, დაილოცე, მარგალიტის თვალო... ნახე, რაფერ გაჟირჟილებულა და ხარობს!.. ანგელოზი ყოფილხარ, ანგელოზი—მადლს ნუ მომაკლებ, უფალო, ცათა შინა,—ეხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა, როცა სამარეზე ხარბად აზრდილ ყვავილს ბალახის ეკლა მიულია უფალს, მიულია—ვარდათ უქცევია ჭირისუფლის ცრემლები.

და თუ ყვავილი შემხმარიყო, იქ ფრთხილად, შიშით გაივლიდა, არც რწყავდა, არც სწმენდდა და ჩუმად ჩაილაპარაკებდა:

— მოგიტევოს და შეგინდოს უფალმა!

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი:—ისე გაჟირჟღილდა ყვავილი, რომ უფალსაც კი გაახარებს, პირდაპირ ცას უცინის... ცვარი ქვეყანაზე რომ არ ჩამოვარდეს, იგი მაინც იშოვის, იმაზე მაინც ალმასობს,—ახარებდა „ბედნიერი“ სამარის ჭირისუფალს.

— აწირვიე და სამადლო გაეცი... მგონი უჭირს ყვავილს, აფრთხილებდა ზოგს.

პატარა ტანის, დანაოჭებული, მაგრამ არა-ჩვეულებრივ ნათელი და გამომეტყველი სახის, წყნარი, უზომო კეთილი და მეტისმეტი მორიდებული—ასეთი იყო ჯაჯიკა და სამართლიანადაც ჰქონდა დამსახურებული საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული, გარდა მელანია მესანაკისა.

მეც შემიყვარდა ჯაჯიკა,—შეიძლება იმიტომაც, რომ ბებიას ჰგავდა ცოტათი და მისი სახელის მოზიარე იყო, და ხშირად დავდიოდი მასთან სენაკში.

— აბა, მერცხალო, დილით ადრე მოირბინე—ცისკარზე უნდა დავრეკოთ,—მეტყოდა ხომლე ზოგჯერ. აინთებოდა თუ არა ალიონის ვარსკვლავი, ჩვენ უკვე სამრეკლოზე ვიყავით.

სტიროდა ზარი და იმის ქვითინი არყევდა შემკრთალს, ფერმიხდილ სიბნელეს, ნაზად აჟრჟოლებდა მძინარე ყვავილებს, აფრქვევინებდა სამარეზე დილის ცრემლებს და შემდეგ იკარგებოდა ნისლით დაბურულ მდინარის ჩხრიალში. ჯაჯიკას სახე უბრწყინავდა, ასე გეგონებოდათ,—აგერ-აგერ აფრინდება, აჰყვება ჰაერის ტალღებს და გაემგზავრება ცათა შინაო.

— ციფ, ეშმაკო, ციფ-ციფ-ციფ!—უხმობდა მელანია კატას და ყოველ დილით გამოაპროწიალებდა სენაკიდან თაგვს კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით.—გაცოფდი შენ, გაცოფდი... რამ გადაგრია, შენ, წყეულ-ლო, შუა ღამეს აქეთ რომ აღარ აძინებ ქვეყანას,—შემოუკურთხებდა ჯაჯიკას:—როდის იქნება იგი, რომ კაკუზარი შენც გაგითხრის სამარეს... სულ-თხრაშიანო შენ!

— ჰუჰ-ჰუჰ-ჰუჰ!—მოგნეშის და მოგორავს მაქსიმე-მღვდელი:—შუა-ღამეზე არ წამომახტუნა ამ პელვერამ... რაფერაა საქმე, პელვერ, ღამე არ გძინავს თუ? ვინ მოგირბენს ასე ადრე ამ სიცივეში ლოცვაზე?

— ცხონებული თომა-მღვდელი ცისკრის ვარსკვლავს დამასწრებიებდა დარეკას და რა ვიცი, მამაო,—წყნარად უპასუხებდა ჯაჯიკა.

ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე ჯაჯიკას სენაკში. მუდამ ბნელი, ჩაჭვარტლული-ჩაშავებული ქოხი, გუნდრუკის და სანთლის სუნი, მკრთალი, მოწითალო შუქით მოფენილი იესო ჯვარზე წინა კუთხეში, დაურღვეველი სიჩუმე და მყუდროება, ყველა ეს რაღაც საიდუმლოებით სავსე სურათს წარმოადგენდა, ზოგჯერ შესვლა კიდევაც მეშინოდა ხოლმე, მაგრამ მაინც შევდიოდი და მოუჯდებოდი ჩაფერფლილ ცეცხლს. მეორე მხარეს იჯდა ჯაჯიკა და უქსოვდა ხატებს აბრეშუმის პერანგებს. ვზივარ ჩუმად და ველოდები როდის მოჰყვება რამე ამბავს მეთქი.

— ერთხელ,—იწყებს,—მაშინ ახალი მოსული ვიყავი ამ სენაკში, დილით ადრე ცისკარზე ვრეკდი. გავათავე რეკვა და დავისვენე. გული საშინლად მიწუხდა—არ ეტეოდა საგულეში. ვხედავ—აგერ ამოფრინდა ყვავილებიდან ფრთიანი ბალანაი... ანათებდა... თეთრ-ფერვანი, პუტკურელა, წაბლის ფერი კაკვილა თმაი მხრებზე დაყრილი... ამოფრინდა, ხელები თვალებზე მიიფარა და აქვითინდა, მწარედ აქვითინდა. უფალო, უფალო მეთქი,—შევიკივლე და კიდევაც მიიმალა ცაში. მერე კი მივხვდი, მაგრამ რაღა... მადლს ნუ მამაკლებ, უფალო, ცათა შინა. ცოტა ხანი გავიდა და სამი წვეთი სისხლი ჩემს წინ ზედი-ზედ დაეცა სამარის ლოდს და გასწვა. გამიგონია—თამარ დედოფალს რომ გაევსება ცრემლებით ფიალა, ყოველი ზედმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი სამი წვეთი სისხლად გადმოდის და ენთხევა აქა-იქ ჩვენს ქვეყანასო... აბა, ერთი ვიხილე და მერე ველარ ველირსე... სისხლის ცრემლები კი ხშირად ეცემა თურმე.

— მერე რა ატირებდა იმ ბალანას?

— დაილოცა მისი სახელი და დიდება! მწარე ამბავი მიჰქონდა და იგი ატირებდა... ჩვენი ქვეყნის მწარე ამბავი. აბა რა ატირებს თამარს!—ღრმა ოხვრით ამბობს და აჩქარებს წინდის ჩხირებს, და შემდეგ მისურათებს გაბრწყინებულს სამოთხეს, ბედნიერების, სიმშვენიერის, სიყვარულის და განცხრომის სამყაროს... მაგრამ იქ თურმე თამარი ძაძითაა შემოსილი, ის არაა მონაწილე საერთო სიხარულის და ბედნიერების,—ანგელოზთა გუნდების ღვთიური ხმა ვერ ჩრდილავს იმის კვნესა-ვაებას. და ისევ ის სავსე ფიალა, ისევ ის სამი წვეთი დამდაგავი სისხლის ცრემლები ამოწმებს მის უზომო სევდას. ამბობს თავისუფლად, დალაგებით, თითქო ახლა მოვიდა იქიდანო.

— მერე რატომ არ ანუგეშებს ღმერთი თამარს?—ვკითხე.

— ჰაჰ, მერცხალო, ჰაჰ! დაილოცა მისი დიდება—იცის, როდის ანუგეშოს. მოვა დრო და თამარიც გაიხარებს—მისი ცრემლები არ დაიკარგება.

როცა ჯაჯიკა ლოცულობდა, ასე გეგონებოდათ, დიდებული ღმერთი წინ ედგა და ესაუბრებოდა მას, როგორც ახლობელს, ზოგჯერ კიდეც შეუტევდა ხოლმე:

— მიმიღე აწი ცათა შინა... კმარა მეყოფა... თუ ნება იქნება შენი, მიმსახურე სასუფეველსა შენსა,—ამბობდა იესოს წინ და თვალს არ აშორებდა მის შუბლზე სისხლის წვეთს, რომელიც თითქო ისე დამცირებულიყო, რომ აგერ-აგერ მოსწყდება და დაიწვება მბჟუტავ სანთლის ალზეო.

ერთ საღამოს ვიჯექით სენაკის წინ. სიბნელე თანდათან ეპარებოდა დედამიწას; ცამაც გაახილა აქა-იქ თვალები და მორცხვად უპვრეტდა ქვეყანას. დასავლეთის ცისკიდური წითლად ანთებულიყო და ზედ გამოკიდულიყო მთვარის ნამგალი.

ჯაჯიკა ჩაფიქრებული იჯდა. უცებ თავი აიღო და მიაპყრო მთვარეს თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლს ნუ მომაკლებ, უფალო,, ცათა შინა... ... დედის სისხლი, წმინდა... როგორ შეუღებავს ცაი! — ჩაილაპარაკა ჩუმად და შემომხედა. მეც კითხვით შევხედე — და დაიწყო;

— სიბნელე იყო თურმე ქვეყნად — არც მზე, არც მთვარე არ ყოფილიყო, უფალს ებრძანა: სანამ კაცში არ აღიზრდება მზე, ქვეყნად ბნელეთი სუფევდესო. ჰო, მერცხალო, და ამ ქვეყნად ცხოვრობდა თურმე დარბაისელი დედა და ჰყავდა ერთი ქალი — მზიელა. წამოიზარდა თურმე მზიელა, და დაუძახა უფალმა: — გულში ატარებ ქვეყნის სინათლეს, შენში ღვივდება ალი მზისაო. — ისე ამოზარდა მზიელამ მზე, რომ დედასაც არ გაუმხილა საიდუმლოება. ერთხელ დედა-შვილი ყანას მკიდა. დაიქანცა თურმე დედა და მიეძინა. გამოელვიძა და რა ნახა: ქვეყანა განათებულიყო და წითლად შეღებილი მზე მიგორავდა ცაზე. მოიხედა და შვილი დაინახა... მკერდი გაეფეტა ნამგლით. გაცივებულს სახეზე ღიმილი დაკვდომოდა. ჰო, მერცხალო, და — ვაიმე, შვილოო, — შეჰკივლა და თითონაც ჩაიცა მკერდში ნამგალი. ამოვარდა დედის გული, ცეცხლში გახვეული, ნამგალიც ამოიტანა ზედ დასობილიყო... ამოვარდა და მიაშურა მზეს. შესძახა:

— დედის სიყვარულს რად ულალატე, რად მომიკიდე, შვილო, ალიო?

— ქვეყნის სიყვარულს ვერ გავექეცი, ველარ ჩავაქრე მისი ალიო, — გადმოსძახა მზემ და გაექანა დასავლეთისაკენ, რომ გაქცეოდა დედის სიყვარულს და გადარჩენილიყო ქვეყნისათვის. დაედევნა დედის გულიც და აჰა — აგერ-აგერ დაეწიოს ზღვაში ჩასავალს, რომ უცებ ნამგალი მძლავრად ჩაესო... ჩაქრა ცეცხლი, წითლად შეიღება ცაი და მარტო ნამგალი გამოჩნდა ცაში გამოკიდული — ასე, როგორც ახლაა. ჰო, მერცხალო, და რომ დასწეოდა — ორივე დაიწვებოდა, მარტო ნაცარი ჩამოცვივდებოდა მიწაზე. იმას შემდეგ ასე დარჩა თურმე: მთვარე დასდევს მზეს, ცდილობს დაეწიოს, მაგრამ ქვეყანას არ მოიძულებს ღმერთი... მადლს ნუ მომაკლებ, უფალო, ცათა შინა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ეს ასე იყო, მზიელას გაუბედნიერებია ქვეყანა, ეგ
აწი სხვამ რაღა აღზარდოს, მზის უკეთესი რა იქნება? —თითქო
რაღაც უკმაყოფილებას ვგრძნობდი, ისე ჩავილაპარაკე..

— ჰაჰ, მერცხალო... მარტო ერთი მზე არ ეყოფა კაცს
—ანათებს ერთი, მაგრამ ქვეყანას არ აკლია გაჭირვება და უბე-
დურება... ყველა უნდა ზრდიდეს და ატარებდეს მზეს გულში,
მაშინ იქნება ამ ქვეყანაზეც გაბრწყინებული სამოთხე... ბედ-
ნიერი თუ იყოს ქვეყანა, თამარ-დედოფალი ცრემლად არ ჩა-
მოდნებოდა,—ღრმად ამოიოხრა და თვალს არ აშორებდა კაშ-
კაშა ვარსკვლავს, რომელიც მთვარესთან ახლოს ამოსულიყო
და თრთოდა, ცელქობდა, უცინოდა ბნელით მოცულს ქვეყანას.

თანდათან დაწყნარდა ყოველი. დამძიმდა ჰაერი, მაგრამ
მაინც საკმაოდ იყო გაბნეული შიგ აკაციის ყვავილების და-
მათრობელი სუნი. საქორწინოდ მოკაზმული ხეები ეფუჩუნე-
ბოდნენ ერთმანეთს გვირგვინათ მარგალიტებით მოჭედილი ცა
ჰქონდათ გადმოხურული. ვიშ-ვიშ-ვიშ—ქოქიჩ-ქოქიჩ-ქოქიჩ!—
ლხინობდა ბუჩქებში ყვავილების მაყარი—ბულბული.

უკვე გვიანი იყო და ბინისაკენ გავეშურე.

— კანკურეხავ, მშია და იქნება მაჭმევ რამეს,—მომესმა
კაკუზარა-მესამარის ხმა.

— ჭირს გაჭმევ გადაურჩენალს, ჭირს! —მიაძახა მელანიამ:
—წაეთრიე აბდალა ჯაჯიკელასთან.

— შენ გაქვს ზანდუკებში ჩაპოქსებული, თვარა საწყალ
ჯაჯიკას რა აქვს... დამაცა აგერ, დამაცა... იმისთანა სამარე
გაგითხარო რომე...

—

სრულებით არ ჰგავდა ჯაჯიკას მელანია—მესენაკე.

შავი, გამხდარი—გაროკებული, ჩაფხრეწილ-ჩაძონძილი,
გაბურძგნული ჭალარა თმა, პატარა „მაძიებელი“ თვალები ღრმა
სოროებში, ორი შავი კბილი ეშვებივით ჩამოშვებული—ასეთი
შესახედავი იყო მელანია და ამასაც სამართლიანადაც ჰქონდა
დამსახურებული სახელად კანკურეხა და ჭინკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სძულდა, ყველას ლანძღავდა და სწყევლიდა, ...
და პატარას ეჭვის თვალით უცქერდა — წამართმევს, მომტაცებს რამესო.

მიკვირდა, რომ ასე გაბოროტებულ ადამიანს ზოგჯერ მაინც შეეძლო გამონახვა საალერსო სიტყვების და იმასაც ახარჯავდა თავის შავ კატას, რომელსაც ეშმაკს ეძახდა. ჩამოჯდებოდა სენაკის წინ, დაისვამდა მუხლებზე, ეხვეოდა; კიდეც ჰკოცნიდა და ეუბნებოდა:

— ჩემი ეშმაკი, ჩემი ყარაჯაი, გულო-გულო-გულო... ა, ეშმაკო, ქურდობა რომ იცი ჩეჩოზე იმიზა ხარ გაპუმპულებული ხომ?.. აი, შენ ყაჩაღო, შენ!.. ჯაჯიკელას მოჰპარე კი არა — თვალებიც ამოჩიჩქნე, თუ გინდა.

უნდა გენახათ მელანია საკურთხობაზე: გამალებული დაცოცავდა, სწუხდა, ეძებდა თვალებით, იყრიდა კალთაში და ჯიბეში, რაც კი შეხვდებოდა.

— შენ გასაფშიკებელო, მომიტეხე აგერ მაგ პასკა, — უყვიროდა ბავშვებს.

— გაბერილო, გაგტკლეცს, მაგდენი კვერცხი რომ ჩაიგრიალე ხურჯინში... გაუფთხილდი — შენს ფოფოდიასაც არ აწყინოს, — ედავებოდა ბესო დიაკვანს, რომელსაც თან დაჰყვებოდა „სტაროსი“ ივანე დიდი ხურჯინით მხარზე.

რა არ ჰქონდა სენაკში დაგროვებული: სავსე იყო დერგები, ქოთნები, სხვა და სხვა ზომის ყუთები და შიგ დამპალი ხილეულობა, დაობებული პურის და ხორცის ნაჭრები. ალბათ ამიტომ იყო, რომ თაგვებს და ვირთაგვებს სენაკის გარშემო ნიადაგი დაეფულუროვებიათ და საშოვარის ახლოს დაბინავებულიყვნენ ისე ბლომად, რომ მელანიას კატა ვირთაგვებთან უიმედო ომს ჯაჯიკას სენაკში ან კაკუზარა — მესამარის თივაზე ღამის გათევას არჩევდა და ბრძოლის ველზე მოღალატურად მარტო მელანიას სტოვებდა დამტვრეულ ხაფანგებით, და კაკუტა-ჯოხით. მთელი ღამე ისმოდა შეძახება და ღარღილი: — უი, ჰაი, უი, ჰაი... სად წახვალთ, სადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა აგერ, მოიცა—დერგებში რომ გათავდებან, შენ გამოგათრევენ გარედ,—ეხმაურებოდა კაკუზარა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო ქორწილი, ან ქელეხი, მელანია დილით ადრე მიფახუნობდა და საღამოს დატვირთული ბრუნდებოდა.

— რომ არ მოუყარო თავი, მეტი რა გზაი მაქვს..: აწი ველარ შევიძლებ სიარულს, დავვარდები და მერე შემხედავს ვინმე თუ? ნუ გეშინია არ გამომიგზავნოს ვინმემ—აგერ ჯაჯიკელას რომ უზიდავენ ისე, ამბობდა.

ჩუმად ბევრჯერ შემიხედავს სანაკში, ერთჯერ ვაშლებიც კი მოვიპარე ჩეჩოზე, როცა მელანია წყალზე წავიდა, მაგრამ ერთ საღამოს გამიწყრა ღმერთი და მივდექი კარზე, როცა თვითონ ცეცხლთან იჯდა...

— რა გინდა, შენ ყურჭატავ, აქანაი? სად წახვალ, სად? შამომიყვირა, შამომასო თვალები და წამოუსვა ხელი მოუცილებელს ჯოხს.

სხვა ვერაფერი მოვიგონე შურის საძიებლად და მეორე საღამოს, როცა ფიჩხის მოსატანად წავიდა, შევიპარე, დიდი გომბეშო შეუწვინე ლოგინში, ერთი დოქიც დაუმსხვრიე და გავიქეცი. მერე აღარ გამივლია სიახლოვეს.

სულ სხვა იყო მელანია, როცა ეკლესიაში შედიოდა, მაგრამ შედიოდა ძლიერ იშვიათად: დაუჩოქებდა ღვთისმშობელს, აღაპყრობდა ხელეს, ცახცახებდა და ქვითინებდა; უხვად გადმოსდიოდა ცხარე ცრემლები, ჰბანდა სახეს და სახეც უფრო ნათდებოდა.

— ნუ მომიძულებ, ნუ დამტოვებ ცოდვილს და ოხერს, ეეედრებოდა და სიმშვიდით და მუდარით სავსე თვალებს არ აშორებდა პატარა იესოს დედის მკლავზე—მაშინ კარგი იყო..

გაბრიელ გოგუაძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გაფიცვა.

(დასასრული).

ᲓᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ გაფიცვის ამბავი მთელ სოფელს ელვის სისწრაფით მოედო.

ბევრი მოწაფე ჯერ სახლში არ მისულიყო, რომ მათ მშობლებს, განსაკუთრებით დედებს, გაეგოთ ეს არაჩვეულებრივი ამბავი და შეექმნათ ერთი მითქმა-მოთქმა.

— მოსაკლავია ჩვენი ᲫᲕილები, მოსაკლავი! როგორ გაუბედეს მოხუცებულ მასწავლებელს ასეთი წყენა? უი ჩემს თვალებს დასავსებს! — ამბობდა დედების ერთი ჯგუფი.

— წყენა კი არა, მეტის ღირსიცაა! რას მიქვია, ღმერთო მომკალი! ჩემს შვილს მე არ ვცემ და იმან უნდა დამიშინოს? ეს თავისუფლება კი არა სულთამხუთაობაა! — მიუგებდა მეორე ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინალამ მეორე უბედურება დატრიალდა: ეროვნული ვის მომხრე ქალმა, მოწინააღმდეგის სიტყვებისაგან მოთმინება დაკარგულმა, დაავლო მას თმაში ხელი და რომ არ გაეზავებიათ საქმე უმარცხოდ არ ჩაივლიდა.

შინ დაბრუნებულმა მოწაფეებმა, თუმც მორიდებით, მაგრამ მაინც სცადეს მშობლების მომხრობა. უფროს განყოფილებათა მოწაფეებმა უფრო იოლათ მოახერხეს ეს. უმცროსებმა კი მთლად გააფუჭეს საქმე.

— შვილო, რათ მოდიხარ ასე ადრე? ავად ხომ არა ხარ, გენაცვალოს დედა შენი?! — ეკითხება პატარა ბიჭიკოს დედა, რომელმაც გაფიცვის შესახებ ჯერ არაფერი იცის და მას გულზე მიიკრავს.

ბიჭიკოს ეძნელება მომხდარ ამბვის თქმა, მაგრამ, რა საშველია, უნდა გამოტყდეს.

— ჩვენ, დედა, ყველა ამხანაგებმა ვთქვით, ვარდენაო რატომ გალახაო გიორგი მასწავლებელმაო. ვთქვით, მაგიერად გავლახოთო თვითონ მასწავლებელიო, ყური აუწიოთო და მერე გადავწყვიტეთ, არ ვისწავლოთ მანამდის, სანამდის იმას არ გალახავენო.

— უიმე, დამიდგეს თვალები! ვილაცას მოუტყუებიხარ და დაუბრუნებიხარ კლასიდან, ამოუგდია ჩემი ოჯახი, თორემ რავა იქნება ასე? ჰა, შენ სამიწე, შენა! რავა დაუჯერე ეს, — მიაკივლებს, ერთ-ორ სილას უთავაზებს მეამბოხე ბიჭიკოს გაბრაზებული დედა, სტაცებს მას ხელს ხელზე და სკოლისაკენ მიიჩქარის, რომ გაკვეთილები არ გაუცდინოს შვილს.

დედა მიარბენინებს ბიჭიკოს, მაგრამ იმან იცის, რომ სწავლა არ არის.

— რომ კიდევ უთხრა რამე, კიდევ დამარტყამსო, — ფიქრობს ბიჭიკო და არხეინად იხედება იქით-აქეთ. დედა გაიგებს სინამდვილეს და გულშემოყრილი ბრუნდება შინ. ბიჭიკოს უარეს დღეს აყენებს.

ვასიკომ მთლად არია ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოირბინა სახლში თუ არა, მაშინათვე მივარდა დედას და სხაპა-სხუპით უთხრა:

— დედა, ჩვენ გადავწყვიტეთ გავლახოთ გიორგი მასწავლებელი! მიუცვინდნენ მოწაფეები, გალახეს და შემდეგ მოკვდა.

პატარა ლადიკოს ჩვენება დაჰკარგოდა, როცა მოწაფეები ერთად გაემართნენ გიორგი ზაქარიას ძესკენ, კარების გაღება რევოლვერის სროლად მოჩვენებოდა და გაჭირვებულის სირბილით მოჰკურცხლა შინ. მას საუბარი დიდხანს არ გაუგრძელებია:

— დედა ჩვენ ვაჯობეთ მასწავლებელს, „ლივერი„ ვესროლეთ და მოვკალით.

აწრიალდა სოფელი.

— ახალ თაობამ წაგვიხდინა შვილები, დაგვლუპა! — ამბობდნენ ერთნი.

— უსათუოდ უნდა გავაძევოთ გიორგი ზაქარიას ძე, ეს სულ მისი ბრალია, — უპასუხებდნენ მეორენი.

განსაკუთრებით ქალების გაწიწმატებით ი'არგებლა სოფლის მოხუცებულმა მღვდელმა ნეოფიტემ, რომელსაც რევოლიუციის შიშით წარსული წლის დარჩენილი დრამის ფულის მოთხოვა ვერ გაებედა და ძველ მთავრობას ულოცავდა სულს.

რევოლიუციის გამკიცხველებს ის სიამოვნებით და ნიშნის მოგებით უდასტურებდა:

— ჰო, შვილებო, ჰო! არა, სად არის აქ უფროსის პატივისცემა. ახალი თაობა ქადაგობს თავისუფლებას და თანასწორობას. განა ღმერთმა მეტი არ იცოდა? მან ბრძანა: უმცროსი მონა უნდა იყოს უფროსისა, თანასწორობა კაცთა შორის შეუძლებელ არსო.

მამა ნეოფიტემ სხვა ტყუილებიც გაურია, მაგრამ ეს გაფიცვის და ძველი მთავრობის მობრუნების საქმეს ვერ შველოდა.

გაფიცვის ამბავს ქალებზე უფრო დინჯად მამაკაცები შეხვდნენ.

ბორქაის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამები გაემართნენ სოფლის აღმასრულებელ კომიტეტის ბინისკენ და მოახსენეს გაგებული ცნობები.

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ საჩქაროდ დანიშნა კომიტეტის სწავლა-განათლების განყოფილების წევრების სხდომა.

სხდომაზე მიიწვიეს გიორგი ზაქარიას ძე და მოწაფეთა გაფიცვის მომწყობი კომისია. სწავლა-განათლების განყოფილებამ გაფიცვის გარშემო შეკრიბა ყოველგვარი ცნობები და თავისი მოსაზრებანი გააცნო სასწრაფოდ მოწვეულ აღმასრულებელ კომიტეტის ყველა წევრთა კრებას.

კომიტეტმა ორი საათის კამათის შემდეგ დაადგინა: „ვინაიდგან მასწავლებელი გიორგი ზაქარიას ძე უშველიძე დროის შეუფერებელი მასწავლებელია და აგრეთვე მისი რეჟიმი აუტანელი შეიქნა მოწაფეთათვის, აღძრულ იქნას შუამდგომლობა სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომ იგი გადაყენებულ იქნას და გამოგზავნონ დროის შესაფერი მასწავლებელი. ეს დადგენილება ეცნობოს დღესვე მოწვეულ მოწაფეთა მშობლების კრებას“.

კომიტეტმა უბრძანა კომისარს, რომ საღამოს 5 საათისთვის მოეწვია მშობლების კრება.

დაჰკრეს ზარებს, დატრიალდნენ ასის და ოცის თავები.

საღამოს 5 საათზე მართლაც მთელ სოფელს მოუყარეს თავი სკოლის ეზოში.

აქ იყვნენ: სკოლის ყველა მასწავლებლები გიორგი ზაქარიას ძეს მეთაურობით, მამა ნეოფიტე და კაპასობით მთელ სოფელში განთქმული აზნაურის ქვრივი ბარბალე.

გიორგი ზაქარიას ძე სულ რაღაც რვა საათის განმავლობაში საშინლად გამოცვლილიყო.

ნაოჭები შუბლზე გაორკეცებულიყვნენ, ტანში საგრძნობლად მოხრილიყო, შავი თვალები მუქის ფერით გადაკრულს გავდნენ, თეთრ წვერ-ულვაშს თითქოს შავი ფერი შემოპაროდა.

მამა ნეოფიტეს, აზნაურის ქვრივს ბარბალეს და მასწავლებლებს განცალკევებული ჯგუფი შეედგინათ. ხალხი მათ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკარებოდა და ჯგუფ-ჯგუფად ცალ-ცალკე ბჭობდა.

კაპასი ბარბალე მოთმინებიდან გამოეყვანა მის მეგობარ მასწავლებლის ასეთ მდგომარეობას და გაწიწმატებით ეუბნებოდა მამა ნეოფიტეს:

— ეს ხომ მეორედ მოსვლის ნიშანია, მამა ნეოფიტე? სად გაგონილა ბღარტების ბუნტი, უფროს-უმცროსობა ხომ თვითონ მამა ღმერთის დაწესებულია? არა, მამა ნეოფიტე? რად არაფერს ეუბნები კვალ-აბნეულ ცოდვილ მრევლს?!

— ჰო, ასეა, ჩემო შვილო და ბატონო! ღმერთიც ასე ბრძანებდა და იესო ქრისტეც, მაგრამ არ სჯერა ხალხს. სწორედ მეორეთ მოსვლის ნიშანია ეს, ჩემო ბარბარე! ღმერთი სულგრძელია, არ დააქცევს მის გაჩენილ ქვეყანას!

— უყურე აბა ამ მურტალ ხალხს, როგორ განზე დადიან, თავის დაკვრასაც არ კადრულობენ!.. ღმერთი მოიყვანს ისეთ დროს, რომ კისერს იტეხდეთ ჩემს წინ... ხომ, მამა ნეოფიტე?

— ჰო, ასეა, შვილო ბარბალე, ღმერთი სულგრძელია!

გიორგი ზაქარიას ძე თუმც ხანდახან თავს უქნევდა მათ დასტურის ნიშნად, მაგრამ ის მთლად ფიქრებს წაელო.

— ისე მიყურებს ხალხი, რომ იქნება კიდეც დამიჭირონ, — ფიქრობდა ის და წუთობით ეცვლებოდა ფერი.

მამა ნეოფიტე იმედს არ ჰკარგავდა და თუ ვინმე შემთხვევითდაუახლოვდებოდა მის ჯგუფს, ცდილობდა მის გადმობირებას.

— ბიჭო, ონიფანტე! რავა მოგწონს ეს საქციელი? მასწავლებლის გალანძღვაა ეს ხომ? განა ამას ქადაგობდა ღმერთი?

არც ონიფანტეა გამოუცდელი, რომ ამ ჯგუფს აამოს.

— არა უშავს, მოქალაქე ნეოფიტე! გამოსწორდება ეს საქმე. ხალხი გაასამართლებს დამნაშავეს, — უპასუხებს იგი და შორდება.

მამა ნეოფიტემ კიდევ სცადა, მაგრამ სხვებმაც ასეთი უკმეხი პასუხი გასცეს მას.

ამ დროს აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობაც გამოჩნდა. კომიტეტის თავმჯდომარემ გახსნა კრება და შემდეგი მოახსენა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგებო! ჩვენ ყოველ მხრივ გავეცანით ამ საკითხს, დავკითხეთ, ვისი დაკითხვაც საჭირო იყო და უნდა განვაცხადო მწუხარება, რომ მასწავლებელი გიორგის შესახებ დღესვე ვაცნობოთ სამოსწავლო უფროსს. ის უსათუოდ უნდა გადაიყენონ და გამოგვიგზავნონ შესაფერი პირი ზედამხედველის ადგილზე.

კრებაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამ გადაწყვეტილებამ.

მართალია, ყველა ეთანხმებოდა მას, გარდა მღვდელ ნეოფიტესი და აზნაურის ქვრივ ბარბალესი, მაგრამ ასე ერთბაშად დასჯა რამოდენიმე ათი წლით შეჩვეული მოხუცი მასწავლებლისა, ბევრს უმძიმდა,

საბრალო გიორგი ზაქარიას ძე სულ დაპატარავებულიყო, სახე შეჰკუმშოდა, გული საშინლად უცემდა. მოისმინა თუ არა ეს გარდაწყვეტილება, ერთი მიმოიხედა, თითქოს სიბრალულს ითხოვსო და ძლივს, გაუბედავად წამოიძახა:

— ბატონო, კომიტეტის თავმჯდომარეო! მეც მომეცით სიტყვის ნება...

ეს სიტყვები ისე გულსაკლავი კილოთი წარმოსთქვა, რომ მთელმა კრებამ მიაქცია ყურადღება.

— მივცეთ ნება...

— არაა საჭირო! ვიცით, რასაც იტყვის, კმარა, რაც აწვალა ჩვენი ბავშვები!..

— სიტყვის ნება მაინც მივცეთ!.,—გაისმა კრებიდან.

ეტყობოდა, ქალები მთლად მოერბილებია გიორგი ზაქარიას ძეს საცოდავ გამომეტყველებას.

ისინი ნახევრად მაინც თანაუგრძნობდნენ მას, მაგრამ ქმრებისა ეშიდებოდათ.

სიტყვის მიცემა მათ აუცილებლად მიაჩნდათ და გაწიწმატებით გაიძახოდნენ:

— სთქვას სიტყვა! ვითომ და რაო, თვალებს ხომ ვერ აგვიხვევს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალების ამ წამოძახილმა მამა ნეოფიტეც გაათამამა ისიც არ წუნარდებოდა:

— სიტყვა მივცეთ, ვაჟო, ეს ხომ ღვთის მოცემულია; ქრისტემ სთქვა, სიტყვა ყველასი არსო!.

კომიტეტის თავმჯდომარემ კრება დააწყნარა და სიტყვა მისცა გიორგი ზაქარიას ძეს.

მან ენა დიდხანს ვერ აიბა და ბოლოს აკანკალებულის ხმით დაიწყო:

— ძვირფასო ბატონებო! მე დამნაშავე... ვარ... მართალია ვლახავდი მოწაფეებს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის, ჩემს დროში ასე ასწავლიდნენ...

ასე მასწავლეს ჩემი მოწაფეობის დროს მასწავლებლებმა... რევოლიუციის შემდეგ ვცადე მიტოვება, მაგრამ გუშინ ხელმა მაინც მიღალატა...

ახლა გთხოვთ, მაპატიოთ... ჩამომაქვეითეთ ზედამხედველობიდან, ოღონდ მთლად ნუ გამრიცხავთ... სად წავიდე აქედან, მე არაფერი არ გამაჩნია, ცოლშვილის ავადმყოფობის დროს ყველაფერი გავყიდე, რაც გამაჩნდა. ახლა არც სახლი მაქვს, არც კარი, არც ცოლი, არც შვილი... არც მახლობელი ნათესავი... შიმშილით მოვკვდები... ნუ დამღუპავთ... ბარემ მომკალით...

უკანასკნელი სიტყვები ცრემლებით წარმოსთქვა, მუხლები ჩაეკეცა და მასწავლებლებმა სამასწავლებლო ოთახში შეიყვანეს.

კრება დაღონდა, შეწუხდა, დიდხანს სიჩუმე სუფევდა.

— რა ვქნათ, უნდა ვაპატიოთ! – დაარღვია სიჩუმე ერთმა მშობელთაგანმა.

— ასე ნაჩქარევად არ შეიძლება. ამხანაგო თავმჯდომარევ, გთხოვთ, ცოტა ხნით შეწყვიტოთ კრება, რომ ვითათბიროთ,— შენიშვნა მეორემ.

თავმჯდომარემ კრება ნახევარი საათით შესწყვიტა.

* * *

გიორგი ზაქარიას ძის სიტყვებმა განსაკუთრებით მოწაფეებზე იმოქმედა. ზოგ მათგანს უკვე ცრემლები წამოპაროდა მასწავლებლის სიბრალულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც გაფიცვის ხელმძღვანელი კომისია იდგა ძველებურ გუნებაზე.

სანამ მშობლების კრება თათბიროობდა, კომისიამ ცალკე შეაჯგუფა მოწაფეები და გაიგო მათი აზრი.

მოწაფეების დიდი უმრავლესობა თანახმა იყო გიორგი ზაქარიას ძე დარჩენილიყო უბრალო მასწავლებლად.

დაბოლოს კომისიაც ამ აზრზე შეჩერდა და მოწაფეების სახელით ეს გააცნო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს.

ამ უკანასკნელმა შეკრიბა მშობლების აზრიც და კომიტეტის წევრები დაიყოლია, რომ ისინი წინ არ აღდგომოდნენ მოწაფეთა უკანასკნელ გადაწყვეტილებას.

მან გახსნა კრება და გააცნო ახლად შემუშავებული აზრი.

გიორგი ზაქარიას ძეს სიტყვებით მორბილებული მშობლები სიამოვნებით დასთანხმდნენ

გაიგო თუ არა ეს, გიორგი ზაქარიას ძე ნელი ნაბიჯით გამოვიდა სამასწავლებლო ოთახიდან და უმდაბლესი მადლობა უთხრა კრებას.

— ვეცდები ჩემი ჩვეულება სულ გამოვიცვალო, ჩემი ენერგია მთლად თქვენს შვილებს მოვახმარო... რაც იყო, ღმერთმა იცის, ჩემი ბრალი არ იყო... —

ამ სიტყვებთან გიორგი ზაქარიას ძეს ისევ წასკდა ცრემლები.

კრებამ დადგენილების სისრულეში მოყვანა კომიტეტის თავმჯდომარეს მიანდო და ამით დაიშალა.

გაფიცვაც ამით დამთავრდა.

მეორე დღეს გიორგი ზაქარიას ძე თვითონ გამოცხადდა თავის უფროსთან და მოახსენა, რომ ის ზედამხედველობიდან გადაეყენებინა და მის ადგილზე ახალ-გაზრდა და დროის შესაფერი კაცი დაენიშნა.

— ბატონო უფროსო! მე თვით დავრწმუნდი, რომ ახლანდელ დროს არ შევეფერები. იმ სოფელს ძლიერ შევეჩკიე და გადაყვანასაც ვერ ავიტან. ჩემი ერთი მასწავლებელი თხოულობს გადაყვანას, მისი ადგილი მე დამითმეთ და ჩემი ადგილი ახალ მასწავლებელსო, —დაუმატა გიორგი ზაქარიას ძემ.

უფროსიც დათანხმდა და რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მშობლების კრების დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

(დასასრული). **არ. ფანცულაია.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...და დავბრუნდები...

ე ისევ ვნახე უცხო სიზმარი:
მტრედის ფერ ბაღში ვხტოდი, ვცეკვობდი.
გარს მეხვეოდნენ თეთრი პეპლები,
მათთან ვლაღობდი, მათთან ვცელქობდი.

ამ დროს მოფრინდნენ ჩიტუნიები,
ჭიკჭიკით მითხრეს: — ჩემო პატარა,
ჩვენთან წამოდი, ერთად გავფრინდეთ,
გადავიქროლოთ ლურჯი კამარა.

იქ ვნახავთ სოფლებს ვრცელსა და ლამაზს,
ცისკროვან ფერით გაშუქებულსა.
ვარდის ფერ მინდვრებს, იის ხალიჩებს,
ვერცხლის ღილებით გულ-მკერდ მორთულსა.

და კიდევ ვნახავთ... — კმარა, დასჩუმდით!..
აღტაცებულმა მკვირცხლად შევსძახე...
და ჩემს თვალებში გამომეხატა
შორეულ ქვეყნის ზღაპრული სახე.

ვიშ, რა ტურფაა ის უხილავი...
ვსთქვი და ავისხი ბუმბულის ფრთები.
მიწას ავშორდი, ვცდილობდი, ჩქარა
გადამელახა ამაყი მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომელვიძა. გაშტერებული
მივსჩერებივარ გამურულ ჭერსა
აჰ, რისთვის... რათა, ჩემო დედილო,
რათ გამაღვიძე?!. ვემდური ბედსა.

— ადექ, სკოლაში წასვლისა დროა,
მეჩურჩულება ალერსით დედა.
და მის სახეზე ურცხვად იცინის
ტანჯული ყოფნის უძირო სევდა.

მიუხვდი დედას... მივქრი, მივრბივარ...
ვარდ-ყვავილები ამშვენებს ცასა.
ვერ შემაჩერებს ვერც მტრის ისარიც,
სანამ არ განვლებ გასავლელ გზასა.

და დავბრუნდები... ჩემო დედილო,
შენს ბნელ სარდაფში გამოვსჭედ მინებს,
ზღაპრულ ქვეყნიდან მანდ გადმოვიტან,
მზიურ კისკასის ავანთებ სხივებს.

მიმქრალი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურჯი ფრინველი.

ფეერია 6 მოქმედებად და 12 სურათად

(შემდეგი)

ტილტილ. — (ფეერიას).—ეს სველი ქალი ვილაა?..

ფეერია. — ნუ გეშინიან... ეგ წყალია, ონკანიდან რო გამოვიდა...

(რძის კოჭობი მაგიდიდან ძირს დაეცემა, და იმ ადგილიდან, სადაც რძე დაიღვარა, ამოვა ქალი, რომელიც შეშინებული აქეთ-იქით იყურება).

ტილტილ. — პერანგა ქალი, ეგრე რომ ეშინია, ეგ ვილაა?

ფეერია. — ეგ რძეა, კოჭობი გატეხა და ამოვიდა...

(შაქრის თავი, რომელიც განჯინასთან იდო, იზდება, გაგანიერდება, დაიხევა და იქიდან ამოვა ტკბილი და ფეერისქველი შესახედაობის ადამიანი. ზედ აცვია, ნახევარი თეთრი და ნახევარი ლურჯი ფერის, დაზლის ნაქსოვი კაბა. ლიმილით მიუახლოვდება მიტილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტილ. — (შემკრთალი). — ამას რაღა უნდა?..

ფერია — ეგ შაქრის სულია, თავისი ქალალდი დახია და ამოვიდა...

მიტილ. — (დამშვიდება). — ჰოო!.. ყინვარი შაქარი აქვს?

ფერია. — ჯიბეში შაქრის მეტი-კი არა უწყვია-რა... თვითეული მაგისი თითიც შაქარია...

(ლამპა მაგიდიდან ძირს დაეცემა, მისი ალი იმწამსვე იქცევა აუწერელ მშვენიერ ქალად, აცვია თხელი ქსოვილის კაბა. ალფრთოვანებული გაუნძრევლად დგას ერთ ადგილას).

ტილტილ. — ეს დედოფალია!..

მიტილ. — ყოვლად წმიდა ღთისმშობელია!..

ფერია. — არა, ბავშვებო, ეგ სინათლეა!..

(ქვაბები, როგორც ბზრიალა, ისე ტრიალებენ. თეთრეული განჯინას კარებს გამოამტვრევს და იქიდან გამოდის სხვა-და-სხვანაირი მზისა და მთვარის ფერი ქსოვილი; სტენიდან კიბეებზე ჩამოდიან აგრედვე სხვა-და-სხვა ტილოები. ამ დროს მარჯვენა კარს ვიდაცა სამჯერ დააკაკუნებს.)

ტილტილ. — (შეშინებული) ეს მამა უნდა იყოს, ყველაფერს გაიგებდა...

ფერია. — ალმასი მარცხნივ მიატრიალე... (ტილტილი ალმასს უცებ მიატრიალებს). ეგრე მარდათ-კი ნუ... ღმერთო ჩემო, ახლა გვიანლაა!.. თავთავიანთ ადგილს ველარ მიუსწრობენ და ერთ უბედურებას გადავეკიდებით... (ფერია ისევ მოხუც დედაკაცად გადაიქცევა. კედლები ისე ალარ ბზუვრიალებენ, საათები საათშივე შევლენ, ჯარა ალარ ტრიალებს და სხვა.. საერთო არეულობაა... ცეცხლი გიჟივით დარბის აქა იქა, მაგრამ ბუხარი ვერ უბოვნია. ერთი ბურთაგანი, რომელსაც კიდობანში ადგილი ალარ შეხვდა, შეშინებული ტირის და კვნესის.) რა იყო?..

ბური. — (ტირილით) კიდობანში ადგილი ალარ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერია. — (კიდობანში ჩაიხედავს) როგორ თუ ადგილი აღარ არის?.. (სხვა ბურებს აქეთ-იქით მისწევს) ჩქარა, ჩქარა, მიიწ-მოიწიეთ...

(ვიღაც კიდევ აწვება კარს).

რ ძ ე.

ბური. — (გზა დაბნეული ამაოდ სტდიდობს კიდობანში ჩასვლას) შეუძლებელია, ყველაზე უწინ მე შემჭამენ...

ძაღლი. — (ტიტტიტის გარშემო დახტის) ჩემო პატარა ლმერთო, ისევ შენთანა ვარ.. კიდევ შემიძლიან გელაპარაკო და გკოცნო... კიდევ, კიდევ, კიდევ...

ფერია — როგორ, შენც ისევ აქა ხარ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალი — ბედმა გამილიმა და არ დავმუნჯდი... ხუხულა დაკეტილი დამხვდა.

კატა — ჩემი ხუხულაც უცებ დაიკეტა... რა მოგველის!... საშიშია?..

ფერია — მართალს გეტყვით, ვინც ბავშვებს გაჰყვება, მოგზაურობის შემდეგ ყველა დაიხოცება.

კატა — ვინც არ გაჰყვება?

ფერია — ისინი რამდენიმე წუთს მეტს იცოცხლებენ...

კატა — (ძალს) მაშ წამო, ისევ ჩვენ ხუხულაში შევიდეთ...

ძალი — არა, არა, მე პატარა ღმერთს გავყვები, უეჭველად გავყვები... მინდა ყოველთვის მასთან ვიყო... ყოველთვის ველაპარაკო...

კატა — სულელი!..

(კარებს კიდევ აწვება ვიდრე).

ბური — (ცხარე ტრემლით ტირის) სიკვდილი არ მინდა, არა... ისევ კიდობანში მინდა ყოფნა...

ცეცხლი — (რომელიც აქამდის სტვენით კუთხიდან კუთხეში დარბოდა.) ბუხარი ველარ მიბოვია...

წყალი. — ონკანში ველარ შევსულვარ...

შაქარი. — (თავის შესახვევ ქაღალდთან დაფუსფუსებს.) ქაღალდი სულ დამეხა...

რძე. — (კრძალვით) ჩემი კოჭობიც ვიღაცას გაუტეხია...

ფერია. — ღმერთო, ღმერთო, რა სულელები და მშიშრები არიან... მაშ თქვენ კიდობანში, ონკანში და უმზგავს ქაღალდში გირჩევნიათ ცხოვრება, ვიდრე ბავშვებთან ერთად ლურჯი ფრინველის საძებნელად წასვლა?

ეკვდანი. — (სინათლის და. ძალის გარდა) ჰო, ჰო, კიდობანი მირჩევნია... ონკანი მირჩევნია; ჰო, ჰო, მე ჩემი ბუხარი მომეცით; მე ჩემი ხუხულა მინდა...

ფერია. — (სინათლეს, რომელიც დადონებული უტქერის დამსხვრეულ ლამპას) შენა, სინათლევ, შენ რაღას იტყვი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე. — მე ბავშვებს გავყვები...
ძალი. — (სიხარულისაგან ლმუის) მეც... მეც... მეც...

პური

ფერია. — კეთილი და პატიოსანი... თუმცა ახლა, გინდათ თუ არა, ყველანი უნდა გაჰყვეთ ბავშვებს, უკან დახევა აღარ შეიძლება... ცეცხლო, შენ ახლო არავის მიეკარო... ძალლო, კატა არ გააჯავრო ხოლმე... შენ-კი, წყალო, ეცადე წამდაუწუმ აქაიქ არ დაიღვარო... (ვიღაცა ორჯერ მაგრად დაკაკუნებს მარჯვენა კარს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. — (ეურს უგდებს) ნამდვილად მამაა... მისი ფეხის ხმაც მესმის...

ფერია. — ფანჯრიდან გადით ყველანი, ჩემ სასახლეში წავიდეთ... იქ თვითეულ თქვენგანს შესაფერ ტანისამოსს ჩავაცმევ... (ბურს) შენ, პურო, ეს გალია გებარებოდეს, ლურჯი ფრინველი ამაში უნდა ჩავსვათ... ჩქარა, ჩქარა, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავთ. (ფანჯარა უცებ ისე გადიდდება, რომ კარს დაემგგავსება. ყველანი რომ გავლენ, ფანჯარა ისევ დაბატარავდება, რამდენათაც საჭიროა და თავისთავად ვითომ აქ არაფერია, მიიხურება. ოთახი ისევ დაბნელდება. ეოველივე თავის ადგილს არის. მარჯვენა კარი გაიღება. დედა და მამა-ტილ. შემოჰყოფენ თავს.

მამა-ტილ. — არაფერია... ჭრიჭინა იყო...

დედა-ტილ. — ბავშვებსა ჰხედავ?..

მამა-ტილ. — ვხედავ მაშ... მშვენივრად სძინავთ...

დედა-ტილ. — მაგათი სუნთქვა აქ მესმის...

ფარდა.

მოქმედება მეორე.

სურათი მეორე. — ფერიას სასახლე.

მდიდრული ვესტიბიული ფერია ბერილიუნის სასხლეში თეთრი მარმარილოს სვეტები, მოვარაყებული ოქროთი და ვერცხლით. კიბე, ბალიუსტრადა და სხვა.

მარჯვენა მხრიდან (სიღრმიდან) შემოდიან: კატა, ცეცხლი და შაქარი. სამთავეს საუცხოო ტანისამოსი აცვიათ. დარბაზს გაივლიან და შეიკრიბებიან, კატის მეთაურობით, მარცხნივ ბირველ ბჯანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერია სასახლეში.

კატა — აქეთ მობრძანდით... ამ სასახლის გზები ყველა კარგად ვიცი. ეს სასახლე ლურჯ-წვერამ ფერია ბერილიუნს დაუტოვა... აქ იმიტომ მიგიწვიეთ, რომ დღევანდელ ჩვენ მდგომარეობაზე მოგელაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოთ, სანამ არავინ გვიშლის. ბავშვები და სიმპა-
ლე ფერიის შვილთან არიან... ყველანი აქა ხართ?

შაქარი. — აგერ ძაღლიც მოდის...

ცეცხლი. — ეგ რატო ასეთი ტანისამოსი ჩაუცვამს...

ბ ა ტ ა. — ეგ ტანისამოსი სანდრილიონის *) ფარეშის ტანი-
სამოსი გახლავთ... მაგაზე ზედ გამოჭრილია, სწო-
რედ ფარეშად დაბადებულა... სვეტს მოვეფაროთ,
ემჯობინება არ გაიგოს, რასაც ახლა გეტყვით;
მაგას მე ვერ ვენდობი...

შაქარი. — დამალვა მეტია, სუნით გაიგო, რომ აქა ვართ...
აგერ წყალიც მოდის... ღმერთო, რა ლამაზია!..
(ძაღლი და წყალი პირველ ჯგუფს მიუახლოვდებიან).

ძაღლი. — (დახტის)—ჩვენც აქა ვართ, ჩვენც აქა ვართ... ხო
ჰხედავთ, რა მშვენივრადა ვარ მორთული!.. აბა
ერთი ამ არშიას და ამ ქსოვილს შეჰხედეთ!.. ეს
ვარაყი, ნამდვილი ოქროა...

ბ ა ტ ა. — (წყალს)—ეგ ტანისამოსი „ვირის ტყავის“ **) დრო-
ისა და ფერისაა, განა!

წყალი. — სწორედ ის არის... ყველაზე მეტად ეს მიხდებოდა...

ცეცხლი. — (კბილების კრაჭუნით)—ვერ უყურებთ, უქოლგოდ
რო მობძანდა!..

წყალი. — რაო?

ცეცხლი. — არაფერი, არაფერი...

წყალი. — იმ დღეს ერთი დიდი წითელი ცხვირი შემხვდა
სადღაც, მე მეგონა იმაზე ლაპარაკობდით...

ბ ა ტ ა. — ნუ ჩხუბობთ, ნუ ჩხუბობთ... აქ ჩვენ საქმისთვისა
ვართ შეკრებილნი... პურს-ღა ველით სად არის?

ძაღლი. — პურმა, ვერ იქნა ტანისამოსი ვერ ამოირჩია, არც
ერთი არ მოსწონდა.

---

*) სანდრილიონი—ფეთხუმ-ს ჰნიშნავს (გრიმმის ზღაპარი), მაგრამ მიღებულია ყველგანა როგორც საკუთარი სახელი.

**) „ვირის ტყავი“—ასეთი სათაური აქვს პეროლტის ზღაპრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი. — ის სულელი სქელ-მუცელაც რომ არჩევანი შედის... ვერ უყურებ!..

ძაღლი. — ბოლოს, რის ვაი ვაგლახით, დაყაბულდა ჩაეცვა ოსმალური კაბა, თვალ-მარგალიტით მოქარგული... ხელში ხმალი უჭირავს თავზედაც დოლბანდი გაუკეთებია...

შაქარი

ბატა. — აგერ ისიც მობრძანდება... ლურჯ-წვერას საუკეთესო კაბა ჩაუცვამს...

(შემოდის ბური. ძაღლმა რომ ასწერა, ისეთი ტანისამოსი აცვია, ერთ ხელში ხმლის ქარქაში უჭირავს, ხოლო მეორეში — გალია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ს ა. — როგორ მოგწონვართ?.. ჰა?.. (დიდის ამბით მიტრიალდ-მოტრიალდება).

ძ ა ლ ი. — (ბურის ახლო ხტუნაობს).—რა ლამაზია და რა სულელია, რა ლამაზია და რა სულელია!..

ბ ა ტ ა. — (ბურს)—ბავშვებმაც ჩაიცვეს თავთავიანწი ტანისამოსი?..

ბ ე ს ა. — ჰო... ბატონმა ტილტილმა ჩაიცვა წითელი პიჯაკი, თეთრი წინდები და ლურჯი შარვალი... ქალბატონმა მიტილმა-კი ბრეტელის კაბა და სანდრილიონის წუღები... ყველაზე ძნელი სინათლეს ჩაცმა იყო...

ბ ა ტ ა. — რათა?

ბ ე ს ა. — ფერიამ ბრძანა, სინათლე ისეთი ლამაზია, ცოდოცკია რამე ტანისამოსი ჩავაცვაო... მაშინ მე ნივთიერთა და პირუტყვთა ღირსების სახელით წინააღმდეგობა გამოვაცხადე; ისიც დავუმატე, ამ შემთხვევაში მე თან ვერ გავყვები-მეთქი...

ც ე ც ხ ლ ი. — რატო აბაჟური*) არ მისცეს?

ბ ა ტ ა. — მერე, ფერიამ რა სთქვა?

ბ ე ს ა. — რა სთქვა? არაფერი, მცემა...

ბ ა ტ ა. — მერე?

ბ ე ს ა. — მერე ისა, რომ მე იმწამსვე დავთანხმდი... სწორედ ამ დროს სინათლემაც ამოირჩია მთვარის შუქის ფერი კაბა, რომელიც სულ უკანასკნელ განჯინაში ყოფილიყო შენახული...

ბ ა ტ ა. — კმარა ტყუილ-უბრალოდ ყბედობა, დრო გადის... ჩვენ, ჩვენს მომავალზე უნდა ვიფიქროთ... ხო გახსოვთ, ფერიამ რაც გვითხრა: ეს მოგზაურობა გათავდება თუ არა, თქვენ სიცოცხლესაც ბოლო მოედებაო. მაშასადამე, უნდა ყოველნაირად ვეცადეთ, რომ ეს მოგზაურობა, რაც შეიძლება დიდ-

*) აბაჟური სინათლის საჩრდილობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს გაგრძელდეს. ამასთანავე, ჩვენ ჩვენს ჯიშზე და ჩვენი შვილების მომავალზე უნდა ვიფიქროთ...

ბური. — ვაშა, ვაშა, კატა მართალს ამბობს...

კ ა ტ ა. — ყური დამიგდეთ... ყველა ვინც აქა ვართ, პირუტყვნი და ნივთიერებანი, ყველას მეთქი აქვს სული და ეს ადამიანმა ჯერ არ იცის. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ცოტა არ იყოს, დამოუკიდებელნი ვართ... მაგრამ თუ ლურჯი ფრინველი ჩაიგდო ხელში, მაშინ ყველაფერს დაინახავს, ყველაფერი ეცოდინება და ჩვენც სავსებით ხელში ჩაუარდებით... ყველა ეს შემატყობინა ჩემმა ძველმა მეგობარმა ღამემ, რომელსაც აბარია ცხოვრების საიდუმლო. მაშასადამე, ყოველნაირი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ის ფრინველი ბავშვებმა ვერ იპოვნონ და თუ ამისათვის მათი სიკვდილიც იქნება საჭირო, ამასაც-კი არ მოვერიდოთ...

ძაღლი. — (ადშფოთებული) — რაო, რაო, რა სთქვი?.. აბა ერთხელ კიდე გაიმეორე, რომ გავიგონო...

ბური. — სიჩუმე! თქვენ ჯერ სიტყვა არ გეკუთვნით... თავმჯდომარე მე ვარ...

ცეცხლი. — თავმჯდომარედ თქვენ ვინ ამოგირჩიათ?..

წყალი. — (ცეცხლს) — ჩუმად, ეგ თქვენი საქმე არ არის...

ცეცხლი. — რატომაც არ არის ჩემი საქმე?.. თქვენი შენიშვნები საჭირო არ გახლავთ...

შაქარი. — (მომრიგებელივით) — უკაცრავად, ჩხუბი და დავიდარაბა აბა რა საკადრისია!.. ეს, მართლაც, მძიმე კითხვაა... რასაკვირველია, უნდა მოვილაპარაკოთ, ავწონ-დავწონოთ...

ბური. — სავსებით ვეთანხმები კატისა და შაქრის აზრსა...

ძაღლი. — რას მიჰქარავთ... ქვეყნიერებაზე მხოლოდ ადამიანი არსებობს... მის სურვილს უნდა დავემორჩილოთ, მორჩა და გათავდა... აი სიმართლე თუ გინდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ეს არის... მხოლოდ ადამიანი!.. სიცოცხლეშიც, სიკვდილშიაც, ყოველივე მხოლოდ ადამიანს!.. ადამიანი ღმერთია!..

ბური. — სავსებით ვეთანხმები ძალლის აზრს...

კატა. — (ძაღლს) — რა მიზეზია, თქვენი მოსაზრებანი თქვით?

ძაღლი. — მოსაზრებანი!.. აბა რა მოსაზრებანი?.. მე ადამიანი მიყვარს, მორჩა და გათავდა... და თუ თქვენ დაუშავებთ რასმე, ჯერ ყველას დაგახრჩობთ და მერე იმას შევატყობინებ ყველაფერს..

შაქარი. — (ისევ მომრიგებელივით). — უკაცრავად, უკაცრავად, რა საჭიროა კამათის ეგრე გამწვავება!.. რაღა თქმა უნდა, ერთის მხრით კატა მართალს ამბობს, მეორეს მხრით ძალლიც მართალია. ავწონ-დავწონოთ, გამოვიკვლიოთ.

ბური. — სავსებით ვეთანხმები შაქრის აზრს...

კატა. — განა თქვენ ყველანი, ვინც აქა ხართ, წყალო, ცეცხლო და თვითონ თქვენ, ბურო და ძალლო არ იცით, რომ ჩვენ ყველანი ადამიანის უსამართლობის მონები ვართ... მოიგონეთ ის დრო, სანამ დედამიწის ზურგზე ეს დესპოტი მოვიდოდა... ქვეყნიერების მბრძანებელნი მაშინ მხოლოთ წყალი და ცეცხლი იყვნენ და ხომ ჰხედავთ — დღეს რა ყოფაშიაც არიან... ჩვენ რაღანი ვართ? ჩვენ, საცოდავი ნაშთები დიდებულ პირუტყვთა ჩამომავლობისა... ფრთხილად, სინათლე და ფერია აქეთ მოდიან... სინათლეს ადამიანის მხარე უჭირავს, ყველაზე დიდი მტერი ჩვენი ეგ არის... სუუ!.. მოდიან... (მარჯვენა მხრიდან შემოდიან: ფერია, სინათლე, ტიტიტ და მიტიტ).

ფერია. — რა ამბავია? რატომ ისე შეკრებილხართ, თითქო შეთქმულება გქონდესთ რამე... დროა გზას გაუდგეთ. თქვენი წინამძღოლი სინათლე იქნება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ისევე უნდა დაემორჩილოთ, როგორც მე. ჩემი შელოცვილი ჯოხიც ამას გადავეცი. ბავშვები ამ სალამოთი ეწვევიან თავიანთ პაპას და ბებიას, რომელნიც გარდაიცვალნენ... თქვენ იქ არ გაჰყვებით, ერთგვარი მორიდება უნდა იქონიოთ... მინამ ბავშვები იქ იქნებიან, თქვენ დაამზადეთ რაც საჭიროა ხვალინდელ მოგზაურობისათვის... წადით შეუდექით...

კატა. (ფარისევლურად)—ახლახან მეც სწორედ მაგას ჩავჩიჩინებდი, ქალბატონო ფერიავ... ვურჩევდი და ვაგონებდი სინდისიერად და მამაცურად შეესრულებინათ თავთავიანთი მოვალეობა...

ძაღლი. — რაო, რაო?.. (მივარდება კატას, მაგრამ ტილტილი დროზე შეაჩერებს).

ტილტილ.— გასწი, დაიკარგე... თუ კიდე ერთხელ გაგიბედნია, იცოდე რომ...

ძაღლი. — შენ არ იცი, მაგან რა სთქვა, ჩემო პატარა ღმერთო...

ფერია. — კმარა, კმარა. (პურს) ეგ გალია ახლავე გადაეცი ტილტილს... ვინ იცის, შესაძლებელია ლურჯი ფრინველი წარსულში იმალებოდეს, ტილტილის პაპასთან... ჰა,—ბურო, რალას უცდი მიეცი ეგ გალია...

ბური. — ერთი წუთი მომითმინეთ, ქალბატონო ფერიავ... (ორატორივით). თქვენ ყველანი, ვინც კი აქა ხართ, მოწამენი იყავით, რომ ეს გალია, რომელიც გადმომცა მე ქალბ...

ფერია. — (გაწყვეტინებს)—მაგ მაღალ—ფარდოვან ფრაზებს თავი დაანებე... ჩვენ ყველანი აქეთ წავიდეთ, ბავშვები-კი ასე გავლენ...

ტილტილ. (ცოტა არ იყოს შეშინებული) მარტო მე და მიტილი წავალთ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტილ. — მშიან...

ტილტილ. — მეცა მშიან...

ფერია. — (ბურს) — გაიხსენი ეგ ოსმალური კაბა და მოუჭერი ბავშვებს შენი მუცლიდან თითო ნაჭერი. (ბური მოიჭრის ორ ნაჭერს და ბავშვებს შესთავაზებს).

შაქარი. — (ბავშვებს მიუახლოვდება) — ნება მიბოძეთ მოგართვათ რამდენიმე ნაჭერი ყინვარი შაქრისა... (მარცხენა ხელის ხუთსავე თითს მოიტეხს და ბავშვებს მისცემს).

მიტილ. — რასა სჩადის ღმერთო!.. თითები სულ დაიმტვრია!.

შაქარი. — აბა იგემეთ რა მშვენივრებაა... ნამდვილი ყინვარი შაქარი გახლავართ...

მიტილ. (შაქარს სწუწნის) — რა კარგია!.. კიდე ბევრი გაქვს?.

შაქარი. — რამდენიც გნებავსთ...

მიტილ. — თითებს რომ იმტვრევ ეგრე, არა გტკივა?..

შაქარი. — სრულიადაც არა... პირიქით ეს სასარგებლოც არის, რადგან მოვიტეხ თუ არა, იმწამსვე სხვა ამოდის, ასე რო ყოველთვის სუფთა თითები მაქვს.

ფერია. — ბავშვებო, ბევრ შაქარს ნუ სჭამთ, ნუ გავიწყდებათ, რომ ამალამ ბებიასთან ივახშმებთ...

ტილტილ. — განა ბებია-ჩემი აქ არის?..

ფერია. — ახლავე ნახავთ...

ტილტილ. — აბა მიცვალებულს როგორა ვნახავთ?..

ფერია. — როგორ თუ მიცვალებულს? ვინ გითხრა, რო ბებია და პაპა შენი დაიხოცნენ? რაკი თქვენ მეხსიერებაში ჯერ ისევ ცოცხლები არიან, მაშასადამე არ მომკვდარან... ადამიანმა ეს საიდუმლო ჯერ არ იცის... მაგ ალმასის მეოხებით დაინახავ, რო მკვდრები, რომელნიც კაცს არ დავიწყებია, ისევ ბედნიერად ცხოვრობენ, თითქოს არც-კი დახოცილან...

ტილტილ. — სინათლეც თან გამოგყვება?..

სინათლე. — არა, ემჯობინება რომ იქ უცხონი არ იყვნენ... ამასთანავე არც დავუპატიჟნივართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილტილ. — საით უნდა წავიდეთ?..

ფერია. — აი აქეთ... მოგონების ქვეყნიდან შორს არა ხართ... მიაბრუნებთ თუ არა ალმასს, ერთ დიდ ხეს დაინახავ, რომელზედაც ეწერება: „მოგონების ქვეყანა“... მაგრამ ნუ-კი დაგავიწყდებათ, რომ ორნივე უსათუოდ ცხრა საათისათვის უნდა დაბრუნდეთ... ერთი სიტყვით, ერთი სიტყვით, თუ სწორედ ცხრა საათზე არ მოხვედით — დავიღუპებით... (კატას, ძაღლს, სინათლეს და სხვათ, ეძახის): თქვენ აქეთ წამოდით... (ბავშვებს) თქვენ-კიდევ აქეთ.

ფერია, შური, ძაღლი, კატა და სხვანი გადიან მარჯვნივ; ბავშვებიკი მარცხნივ.

გ. ჯაბადარი.

(ფარდა).



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძველი და ახალი!..

ადგა წამი, როდესაც ძველი და ახალი ერთმანეთს პირისპირ უნდა შეხვედროდნენ. წარმავალს მომავლისათვის უნდა დაეთმო ადგილი. ცხოვრების სიმწარისაგან დაავადებულ მოხუცის ნაცვლად, ქვეყანას უნდა მოვლინებოდა ახალგაზრდა, იმედით და რწმენით გატაცებული ჭაბუკი...

ასე ყოფილა, ასე არის, ასეც იქნება?..

შუა ღამე ახლოვდება... მეშვიდე ცის კაბადონზე, უკანასკნელი კიბის საფეხურზე ფეხი გადმოდგა, დაღლილ-დაქანცულმა წელში მოხრილმა მოხუცმა, მძიმედ ამოიოხრა და ღრუბლების ნაპრალზე ჩამოჯდა.

აქ იყო ცისა და დედამიწის საზღვარი...

მოხუცმა მწუხარებით გადმოხედა დედამიწას. ქვეყანა ბნელ ჯოჯოხეთურ ღრუბლებში იყო გახვეული...

სდუმდა ცა... სდუმდა ჰაერი... სდუმდა წიავი... იქ-კი, იქ... იმდენი კვნესა, ქვითინი, ოხვრა. და ვაება არსებობდა... იყო ბრძოლა უსამართლო, უთანასწორო ძალმომრეობითი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ზეცისათვის ყოველივე ეს იყო ალბად ყრუ და მიუწდომელი.., არ.ისმოდა იგი აქ... ვერ აღწევდა იგი უზენაესის ყურთა სმენამდე!.

მოხუცის დამჭკნარ ლოყებზე ცრემლის ცვარი დაგორდა და თეთრ წვერ-ულვაშში გადნა...

შუა ღამე შესრულდა... გაისმა საყვირის ხმა.., განათდა ცის კაბადონი და... მოკვდა ძველი—იშვა ახალი!..

მოხუცის წინ ნაზი ფრენით ძირს დაეშვა ფერიების ფრთებზედ მჯდომი ოქროს თმიანი ჭაბუკი.

— მიიღე ჩემგან ძეო წუთისოფლისავ პირველი სალამი!..— წარმოსთქვა აკანკალებული ხმით მოხუცმა, შვინდის კომბალს დაეყრდნო, რომ ფეხზე წამომდგარიყო და მოწიწებით თაყვანი ეცა.

— გმადლობთ, გულ-კეთილო მოხუცო! — უპასუსა ჭაბუკმა. – სად მიემგზავრები?..

— იქ!—თითით ანიშნა მოხუცმა ზეცა.—წარსულთა წიაღში. რასაც ადამიანთა ენით ისტორიას უწოდებენ...

— შენ სახეს ტანჯვის ბეჭედი აზის,—სად სცხოვრობდი აქამდე?—იკითხა ჭაბუკმა.

— იქ!—მოხუცმა ანიშნა ძირს დედამიწა.—იქ, ქვეყნად, ადამიანთა სამეფოში, სადაც აწ შენ მიგელის კაცობრიობა.

— შენ სიბერეს საუკუნოების დაღი ამჩნევია. ნუ თუ ასე გაგტეხა წელთა სიმრავლემ?

— წელთა სიმრავლემ?! —მწარედ გაიღიმა მოხუცმა.—შარშან ამ დროს მეც შენსავით ახალგაზრდა, სიცოცხლითა და იმედით აღსავსე ჭაბუკი ვიყავი!..

— შარშან?!

— დიაღ!.. მე მხოლოდ ერთი წლისა ვარ!

— ერთი წლისა?!.—გაკვირვებით იკითხა ყმაწვილმა, რამ დაგაჩაჩანაკა ამ მოკლე დროში აგრე მწარედ?!.

— უსამართლობამ!.. ადამიანთა შორის მტრობამ, შურმა და გაუტანლობამ!..

— რამ დაგიწითლა მოხუცო თვალები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქვრივ-ობოლთა და წამებულთა მდუღარე ცრემლებმა!

— რამ დაგისუსტა ხმა?

— ჩუმმა ქვითინმა, გულის კვნესამ, მომაკვდავთა მწარე ოხვრა-გოდებამ!..

— რამ გაგითეთრა თმა და წვერი ასე-უდროოდ?..

— ადიმიანთა სისხლმა, თეთრ ცოდვის ტბად გადაქცეულმა...

ჭაბუკის ნათელ სახეს პირველად ეწვია მწუხარების აჩრდილი და გულნატკენი ხმით ჩუმათ წარმოსთქვა:

„ნუ თუ მეც ასეთი ხვედრი მომელის!?“

სიჩუმე ჩამოვარდა.

ფერიებმა ფრთები შეათამაშეს... გაისმა ჰანგი:

წავიდეთ, კმარა...
ძველს სთმობს ქვეყანა,
ახალს მოელის...
ვესტუმროთ ჩქარა?!.

ჭაბუკი მოხუცს მიუახლოვდა.

— მშვიდობით,—წარმოსთქვა მან და მოხუცის დამჭკნარ სახეს ჩაფიქრებული დააკვირდა.

მოხუცის თვალიდან ჭაბუკის გაწვდილ ხელზე, მარგალიტის მძივივით, ცხელი ცრემლის წვეთი დაეცა.

— ეს რას ნიშნავს?—იკითხა ჭაბუკმა და მოციმციმე ცრემლს დახედა.

— ეგ ცვარია იმედისა!.. ნამი სათნოებისა... ეგაა ძალა ცხოვრების მძიმე ტვირთის შემსუბუქებისა!.. მწუხარების სიმწარის შემასუსტებელი... სიბერის უძლურებაში ნუგეშის მფენი... ეგ არის სხივი, იმედის ნაპერწკალი კაცთა შორის სამართლიანობის დამყარებისა!.. მაგრამ შენ, შენ თვითონ გამოსცდი მას მშვენიერო ჭაბუკო. კურთხეულ იყოს შენი გზა!..

. . . . მოხუცი ღრუბლების სივრცეში გადნა... ჭაბუკი ფერიების ფრთებზე შემჯდარი, ნაზი ფრენით და ტკბილი გალობით მძინარე დედამიწაზე დაეშვა...

ჯაფარ-ფაშა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწისძვრა გორში.

ეიწა უძრავია—მშვიდია. უძრავი და მშვიდია, როგორც იყო ასი და ათასი წლების განმავლობაში და როგორიც იქნება ასი და ათასი წლების შემდგომ.

მიწა მშვიდია და უძრავია—ასე ეჩვენება ის დედამიწის მუდმივ უცვლელ სანახაობას შეჩვეულს ადამიანს, რომელსაც ფეხებით სთელავს.

ადამიანთა უმრავლესობა ვერ ამჩნევს ბუნების ძალთა გოლიათურ მუშაობას, რომელიც მუდამ სცვლის დედამიწის სახეს. ვერ ამჩნევს, როგორ სცვლის ნიადაგის შემადგენლობას ქარი, მზე, სიცხე, სიცივე, წყალი და ცეცხლი, ანგრევს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდ გორებს, აშრობს ჭაობებს, უდაბნოდ აქცევს აყვავებულ მიდამოებს და უდაბნოებს კიდევ ყვავილნარით და მწვანეულობით მოჰფენს ხოლმე.

დედამიწა, რომელიც ჩვენ უცვლელი გვგონია, მუდამ იცვლება: ზღვის ტალღები ნავარდობენ ახლა იქ, საცა წინად მაღალი მთები იყვნენ ამართულნი. მიწის მუშა გლეხი ჰხნავს დედამიწას იქ, საცა წინად ზღვა ღელავდა და ოკეანეს ძირი იყო.

მაგრამ გარდა ასეთი მუდმივი და ნელი, საუკუნოების განმავლობაში ცვლილებებისა, ხანდახან დედამიწის ზურგზე თითქოს ღრმა ძილისაგან იღვიძებენ ბუნების საშინელი ძალები, რომელთაც აქამდის თითქოს ეძინათ დედამიწის გულში ჩამალულთ. ხან ზღვიდან გადმოხეთქენ უზარმაზარი ტალღები და ქალაქებს სპობენ. მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიან და ნაფოტივით მიაქანებენ ადამიანთა სახლებს. ქარიშხალი საზარლად დაუქრის დედამიწას, ფესვებიანად სთხრის ას წლოვან ხეებს და სილით ავსებს მთელს ოლქებს. ცეცხლმფრქვევი, გავარვარებული ნაკადი ვულკანებისა ბევრ ვერსზე გარშემო სპობს სიცოცხლეს და ვულკანიური ფერფლი გახურებულ ზეწრად ეფარება დედამიწას.

ქარიშხალი, წყალდიდობა, ვულკანების აღმოხეთქა — ყველა ასეთი ბუნების დიდი და საშინელი მოვლენები თავზარს სცემენ ადამიანის გონებას.

მაგრამ თითქმის ყველაზე უფრო ამ მოვლენებში ადამიანის გონებას აშინებს მიწისძვრა. ადამიანი შეეჩვია წყლისა და ქარის უნდობლად ყურებას.

მშვიდი სიოს დღევანდელი ნაზი ნავარდობა ხვალ შეიძლება საშინელ ქარიშხალად გადიქცეს. ზღვისა და მდინარის მშვიდი ზედა პირი შეიძლება ზვირთებითა და ქაფით მოიფინოს და ყოველივე წალეკოს თავის გზაზე. ვულკანის მახლობლად ადამიანი მოელის, რომ ჩუმი მთა უცებ აკვამლდება და გავარვალებული ნაკადი და გახურებული უზარმაზარი ქვები ქუხილით აღმოხეთქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ დედამიწას კი ადამიანი ენდობა. ის მისი მარჩენალია და მუდამ მშვიდად აქვს ფეხქვეშ. მისგან ადამიანი არავითარ ღალატს არ მოელის. ტყუილად ხომ არ უწოდებენ მას ყველა ხალხები დედას (დედამიწას). მაგრამ უცებ დედა ავ დედინაცვლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქცევა, დედამიწა შეინძრევა, მთები და ბორცვები ადგილს ინაცვლებს, კლდეები ინგრევა, ღრმა ნაპრალები მიწას ღარავს. ადამიანების მიერ მრავალწლობით ნაშენი სახლები და სასახლეები ქაღალდის ხუხულებივით ინგრევა და ქვებად და ხის კუნძებად იქცევა. ქალაქები და სოფლები ნანგრევების გროვას წარმოადგენს შიგ ჩამარხული ადამიანებით, რომლებმაც დროზე თავს ვერ უშველეს და ქონებიანად ნანგრევებს მოჰყვნენ.

მიწისძვრა დიდი უბედურებაა და ადამიანიც ხსნიდა მას წინად, როგორც ზებუნებრივ უბედურებას. მიწისძვრაში ადამიანები ხედავდნენ ადამიანების ცოდვებისათვის მოვლენილ ღვთის წყრომას. ითხზებოდა თქმულებები, რომ დედამიწის ქვეშ იმყოფება შებორკილი გოლიათი, რომელიც ცდილობს თავი გაინთავისუფლოს და მიწას ანძრევს. ამბობდნენ რომ მიწის ქვეშ მოძრაობს რაღაც საშინელი ცხოველი, რომელსაც მაღლა ამოსვლა ჰსურს და ვერ ამოდის. ახლა მეცნიერებმა იციან, რომ მიწისძვრის მიზეზი მიწაში დაგროვებული ვულკანიური გაზები და ორთქლი არის, რომლებიც მიწის ზედაპირისაკენ მიილტვის და ისეთი სიმაგრით აწვება ნიადაგს, რომ მისი ზედაპირი ინძრევა, სქდება და ნაპრალებით და ნაოჭებით იფარება.

მაგრამ მიწვისძვრის მიზეზების ცნობა სრულიადაც არ უადვილებს მდგომარეობას იმათ, ვინც მწუხარებით დაჰყურებს თავისი სახლების ნანგრევებს, და ვისაც ნანგრევებიდან თავისი მახლობლების გვამების გამოთხრა უხდება. მიწისძვრა მუდამ საშინელი უბედურება იქნება.

ახლა ეს საშინელი უბედურება საქართველოს დაატყდა თავს, გორი და მისი მიდამო სოფლები მიწისძვრისაგან დანგრეულია.

პირველი ტალღა მიწისძვრისა მოხდა 20 თებერვალს ღამით. ღამის სამ საათზე გორის მცხოვრებლები, რომელთაც მშვიდად ეძინათ თავის სახლებში, გააღვიძა საშინელმა ხმაურობამ. ნახევრად გამოფხიზლებული და შეშინებული მცხოვრებლების თვალწინ რაღაც საშინელება ხდებოდა. სქელი კედლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს გოლიათის მიერ თავის ადგილიდან მოგლეჯილი, მიწაზე ეცემოდნენ და იფანტებოდნენ, სახურავი მთლიანი თუ



დანაწილებულნი ქუჩებში ან ეზოებში ვარდებოდნენ. ზოგი სახლი ინგრეოდა, ზოგი კი ქანაობდა და საზარლად ჭრაჭუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობდა. ჰაერი სავსე იყო მიწის ყრუ ხმაურობით და ნგრევის ქუხილით. მცხოვრებლებმა თავისი ავლადიდება ალალბედზე მიატოვეს და შიშველ-ტიტველნი ქუჩებში გამორბოდნენ ზამთრის სუსხიან ღამეში. პირველმა მიწისძვრამ გორზე უფრო დიდი ზიანი მოუტანა გარემომდებარე სოფლებს. სოფლის მსუბუქი შენობები სწრაფად ინგრევოდნენ მიწისძვრის პირველივე ტალღებისაგან. მცხოვრებლები სახლიდან გამოსვლას ვერ ასწრობდნენ და ამიტომ სოფლებში მსხვერპლი მეტია, ვიდრე თვით გორში. გორშიც და სოფლებშიც ხალხმა მთელი ღამე გაატარა ქუჩაში ცისქვეშ, არ შესულან ისინი სახლებში მეორე დღესაც და ამან გადაარჩინა გორი ადამიანთა ახალ მსხვერპლთაგან. დღის სამ საათზე მიწა ისევ ინძრა ისეთივე სიძლიერით, როგორც ღამე. სახლების უმრავლესობა, რომელიც ღამით გაიბზარა, სავსებით დაიქცა. ნახევრად დანგრეულად შერჩენილი სახლები ქვისა და ნაფოტების გროვად გადიქცა. რაც ვერ გადაარჩინა ხალხმა სამ საათამდე, ყველაფერი დაილუპა ნანგრევებში ამ ახალი მიწისძვრის დროს. მიწა იძვროდა შემდეგაც ყოველ დღე, თუმცა ისეთის სიძლიერით აღარა. ახლა გორი მკვდარი ქალაქია, ქალაქის შენობების ერთი მესამედი მაინც სრულიად დანგრეულია. სახლები, რომლებიც ჯერ არ დანგრეულა, იმდენად არის დაზიანებული, რომ შიგ ცხოვრება შეუძლებელია და საკმარისია სულ მცირეოდენი მიზეზი მათ დასაქცევად. ყველგან ნგრევის საშინელი სურათია: ზოგან გამონგრეულია კედელი და მოსჩანს ოთახი წაქცეული მაგიდებითა და განჯინებით, ლოგინებით, დაბრეცილი იატაკით და ჩამონგრეული ჭერით. ზოგან სახლისაგან დაცულია ნანგრევებზე ჩამოვარდნილი მთელი სახურავი, ზოგან მთელი უბნის მაგიერ მხოლოდ ნანგრევების გროვაა. ძველის-ძველი, მრავალი საუკუნოების განმავლობაში შენახული ციხე ბევრ ალაგას დაღარულა წყლულებით. მისი კედლების ათასი წლობით დულაბით შედუღებულმა უზარმაზარმა ქვებმა ვერ გაუძლეს მიწისძვრის ძალას და ქვის ნაკადით მოჰფინეს მთის კალთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწისძვრამ, რომლის ცენტრიც გორის მახლობლად იყო, დიდი მანძილი მოაოხრა. 45 სოფელი დაინგრა. ბევრგან ჩაწვა და დაიბრიცა რკინის გზის ლიანდაგი. ზოგან მიწა დაღარა ერთი და ორი არშინის სიგანე ნაპრალებმა. ადამიანთა მსხვერპლი არც იმდენია, როგორც მოსალოდნელი იყო მიწისძვრის სიძლიერის მიხედვით. მაგრამ იმათი მდგომარეობა, ვინც გადარჩა, საშინელია. მარტო გორში დარჩა უბინაოდ 20000 მცხოვრები. გარემდებარე სოფლებში ეს რიცხვი 60000 აღწევს. ხალხმა დაჰკარგა ბინაც საკვებიც და სამოსელი; მათი ქონება გაანადგურა ნანგრევებმა. მშივრები სცხოვრობენ ისინი კარავ-ქოხებში და სამოსელის უქონლობით ვერ იტანენ ზამთრის სიცივის მძვინვარებას. ავადმყოფობა დაზარალებულებში დღითი დღე მატულობს.

დაზარალებულთა დასახმარებლად ახმაურდა მთელი საქართველო. ერობები, ქალაქები, კოოპერატივები, კერძო საზოგადოებანი, მოქალაქეთა ორგანიზაციები და კერძო პირები — ყველანი ისწრაფოდნენ თავისი წვლილი შეეტანათ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ; დაეხმარა მათ აგრეთვე მთავრობაც. ქართველების უბედურებას გამოეხმაურნენ უცხოელებიც: ფრანგების და იტალიელების მისსიებმა უშველეს მათ ფულით და ნივთებით. თბილისში მყოფი დელეგაცია კაზაკებისა შეჰპირდა ყუბანიდან პურის მოტანას. დახმარებას დაზარალებულთ ახლა უწევს მთელი ქვეყანა. მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი ცდაა საჭირო, რომ მორჩეს მიწისძვრისაგან მოყენებული წყლული! დანგრეული ბინების აღსადგენად, რომ ჩავაცვათ, ვისაც სამოსელი არა აქვთ და ქარისა და სიცივისაგან დავიცვათ ისინი, საჭიროა მილიარდები. საჭიროა შეერთებული ცდა მთელი ქვეყნისა, რომ უბედურება, რომელიც გორის მაზრას დაატყდა, ნაწილობრივ მაინც იქნას შემცირებული და ჩვენც მოუწოდებთ ჩვენ ახალგაზრდა მკითხველებს დაეხმაროონ საერთო სამშობლოს დაზარალებულ მოქალაქეთ ყველაფრით, რითაც კი შეუძლიათ.

ლ. კრემერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამრიკო.

1.

ვადმყოფმა თამრიკომ
ორი კვირა იწვალა,
სიცოცხლის გულისათვის
იბრძოლა და იძალა,
მაგრამ ვერ გაიმარჯვა,
მოკვდა, გარდაიცვალა.

2.

კუბოში ასვენია
ანგელოზი პატარა,
ყვავილივით ლამაზი,
ცის ნამივით ანკარა.
ხელში ია უჭირავს,
უსიცოცხლო იასა,
დედის ცრემლით დანამულს
უმნაკო პაწიასა.

3.

დედის ერთა თამრიკომ
იავადა, იწვალა,
სანთელივით დაიწვა,
ჩაჰქრა, გარდაიცვალა.
და დღეს თუ იგი უკვე
მიწაში ასვენია,
მის საბრალო მშობელსა
ვერ წარმოუდგენია.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწისძვრა.

(ი გ ა ვ ი)

ეც თებერვალს (1920 წ.), ნაშუადამევს, მიწისძვრამ გაანადგურა მომეტებული ნაწილი ქალაქ გორისა და მახლობელ სოფლებისა.

გათენებისას ერთ ქუჩაზე ორი აქაური მცხოვრებნი შეხვდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა, მახარე! მადლობა ღმერთს, ცოცხალსა გხედავ,--უთხრა დაღვრემილ ნაცნობს მხიარული კილოთი ონოფრემ.

— ეჰ! რაღა საკითხი ვარ,—მწარედ მიუგო მახარემ,—ის შენს მტერს, რა დღეც ჩემს ოჯახს დაადგა: სახლი სულ მთლად დამენგრა, ავეჯი, ჭურჭელი სულ დაშემსხვრა, ჩასაცმელ—დასახური გამოიხრდა, დავრჩი ტიტველ-შიშველი; დამსაჯა ღმერთმა, მიწასთან გამასწორა, სასიცოცხლო აღარა ვარ; შემიბრალე.

— რა გაეწყობა, ჩემო მახარე,—მიუგო ონოფრემ,—ღმერთი სამართლიანია, მუდამ კეთილისა და ბოროტის გარჩევა იცის, უდანაშაულოდ არავის დასჯისო.

მახარეს ავკაცობა არავის გაეგო; ამიტომ, უიმისოდაც დადაგულს, მეზობლის სიტყვებმა გული უფრო მეტად დაუკოდა.

საუბედუროდ, ნაშუადღევს მიწისძვრა უფრო მძლავრად განმეორდა. ახლა-კი მთელ გორში დანგრევას არც ერთი სახლი აღარ გადურჩა.

მეორე დღეს კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს ნაცნობები.

— ჩამაქვავე, ჩამქოლე!—შეჰბღავლა ახლა ონოფრემ მახარეს,—ღვთის რისხვა ბეწვია, მეც შენი დღე დამადგა: სახლკარი დამენგრა, ოჯახი დამელუპაო!

— ვაი ჩემს თავს, რა ბეჩავი ვარ,—მიუგო მახარემ,—მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ გუშინ შენ ჩემთვის სრული ჭეშმარიტება გითქვამსო.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძხეცეში.

ვეფხვის ნაამბობი.

ბა, ახლა შენი ჯერია! — მიმართა სპილომ ვეფხვს: — მოგვიყევი შენი თავგადასავალი! ვეფხვმა აანთო თვალები და ზარმაცად დაებჯინა წინა თათებზე.

— რა უნდა მოგიყვეთ? ჩემი ბედიც ისეთია, როგორიც თქვენი: მე მქონდა ბედნიერი სიყმაწვილე; ვიზრდებოდი დედასთან, ვიყავი თავისუფალი, ვცხოვრობდი და ვსტკბებოდი ღვთის მოცემული სიცოცხლით; და აი — ხედავთ! შთავვარდი ამ ტყვეობაში. რაზე უნდა გესაუბროთ?

— რამე სთქვი! — ეუბნება სპილო: — ღამე დიდია და ბნელი, არც გვეძინება. აბა დაიწყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხვმა ისევ აანთო თვალები, დაიდო ტუჩი წინა ფეხების თათებზე და დაიწყო:

— ჩვენ ვეფხვები ვსცხოვრობთ ყველგან, სადაც კი შეუძლია ცხოვრება კატის ნათესავს, კატის ჯიშს. ჩვენ მოძმეს შეხვდებით ინდოეთში, ჩინეთში, სპარსეთში, ამურის იქით მხარეში და ამიერკავკასიაშიც. ცხოვრება გვირჩევნია ლერწამის ჭაობებში ან მაღალი პურის მცენარეულობით დაფარულ მინდვრებში. რაკი ერთხელ ავირჩევთ ბინას რამოდენიმე წლის განმავლობაში არ მივატოვებთ, რაგინდ უხერხული იყოს ის ჩვენთვის. ვეფხვი საუცხოვოდ სწრაფია, მჩატე, მოხდენილი და ლამაზი. ის ისე მოხერხებულად ეპარება საკბილოს, რომ განწირული მსხვერპლი ვერ ტყობილობს მიახლოებას. ვეფხვს სირბილში ვერავითარი ცხენი ვერ შეედრება. თუ მდინარე შეხვდა ვეფხვს,—არხეინად გასცურავს, მაგრამ ბანაობა არ უყვარს. შეუძლია გადახტეს ორი საჟენის სიგრძეზე, ავიდეს ხის წვეროზე. გულადობაში ვერც ერთი ცხოველი ვერ შეედრება. იხელთებს რა დროს, როგორც ელვა, ისე დააცხრება ყოველნაირ ცხოველს და გამოასალმებს წუთისოფელს. საჭმელს ვეფხვი არ არჩევს: ერთნაირი მადით შეექცევა ხორცს, თევზს, კუს, მწერს—ერთი სიტყვით, რასაც კბილში მოიგდებს. დაჭერილ მსხვერპლს მყის მიათრევს ბინაზე და იქ მიირთმევს; არასოდეს არ სჭამს იქ, სადაც დაიჭირა. ვეფხვი ისეთი ლონიერია, რომ შეუძლია მთელი ხარის წაღება. საკბილოს უსათუოდ უკანა ფეხებიდან დაუწყებს ჭამას. ჭამის დროს დადის წყალზე პირის გამოსარეცხად და შემდეგ დიდხანს და ბლომად სჭამს, შემდეგ სვამს. როცა გაძღება, მთელი დღე ან ღამე სძინავს. გაიღვიძებს და ისევ იწყებს ჭამას, რომ აღარ დატოვოს ნანადირევი. მიუხედავათ გაუმაძღრობისა, ვეფხვს შეუძლია მთელი კვი რაობით არ ჭამოს და არცა სვას.

ყოველწელიწადს ძუ ვეფხვი შობს ორს ან სამს შვილს. ახალ დაბადებული კნუტი შინაურ კატის ოდენაც არაა, მხიარულია და ადვილად ეჩვევა ადამიანს.

მე თქვენ მოგიყვებით ამბავს, ეს ამბავი თქვენ გაგარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობთ და დაგარწმუნებთ იმაში, რომ მტაცებელი ბუნებისა-
რონ ვეფხვსაც შეუძლია საჭიროების დროს კეთილ-შობილებისა
და რაინდობის გამოჩენა. ეს ამბავი მე დედისაგან გამიგონია
ბავშვობისას. ის ვეფხვი, რომლის შესახებ მე თქვენ ახლა გიამ-
ბობთ, ჩემი წინაპარი ყოფილა და ვამაყობ, რომ ისეთი შესა-
ნიშნავი ნადირის შთამომავალი ვარ, როგორიც ჩემი საუბარის
გმირი. აი რა მიამბო მე დედამ იმ ვეფხვის შესახებ, ყური
მიგდეთ: პატარა სალვია ცხოვრობდა აფრიკაში, ძველ კართა-
გენში. იმის მამას ჰქონდა საკუთარი გემი, დადიოდა ამ გემით
სხვა და სხვა ქალაქებში, ვაჭრობდა ხილით და სხვა საქონლით
და არჩენდა ოჯახს.

სალვია შვიდი წლისა იყო და უკვე იცოდა, რომ იმისი
მშობლები ქრისტიანებია და კართაგენის დანარჩენი მცხოვრებ-
ლები კი კერპთთაყვანისმცემლები.

დედას დაჰყავდა ის ჩუმჩუმად სადღაც გამოქვაბულში
წირვის მოსასმენად.

— ილოცე შვილო!—ეტყოდა ხოლმე სალვიას დედა:—
ეველრე ქრისტეს! ისაა ერთი ღმერთი, ქვეყნის შემომქმედი.
ქრისტიანები გალობდნენ; სალვიას უყვარდა გალობის მოსმენა
და სძლევდა ძილს. წირვის შემდეგ ისევ საიდუმლოდ მიდი-
ოდნენ ქრისტიანები თავის ბინაზე. სალვიას უკვირდა ეს გარე-
მოება და თავისთავს ეკითხებოდა: რა არის საშიში და საძრა-
ხისი აშკარად სთქვან, რომ ქრისტიანები არიანო. დედა უმა-
ლავდა სალვიას, თუ როგორ სდევნიდნენ მაშინ ქრისტიანებს
და რა სასტიკ დანაშაულობად იყო ცნობილი ქრისტეს სჯუ-
ლის აღიარება.

— იცოდე სალვია! არავისთან წამოგცდეს, რომ ჩვენ ქრის-
ტიანები ვართ, თორემ თუ გაგვიგეს, შავ დღეს დაგვაყენებენ.

სალვია მიაშტერდებოდა დედას დიდხანს თვალებით, არ
ესმოდა, რატომ უნდა შეენახა ეს საიდუმლოება, მაგრამ მაინც
სდუმდა.

ერთხელ მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მამამ სალვიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუყვანა პატარა ვეფხვი—ლეკვი. სალვიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ვეფხის ლეკვი იყო მხიარული, რბილი, ლამაზი, სალვიასთან ერთად თამაშობდა რეზინის ბურთით და ვერც ამჩნევდა ტყვეობას.

— ეს შენი საჩუქარია,—უთხრა მამამს ალვიას:—როცა ალექსანდრიაში ვიყავი, ვილაც ეგვიპტელს მოეკლა ძუ ვეფხვი, ეს ლეკვი ვიყიდე და შენ მოგიყვანე. ეთამაშე, სანამ პატარაა, ნუ გეშინია, როცა გაიზრდება და საშიში გახდება, გავყიდოთ.— სალვიას ძალიან გაეხარდა: მარტოკა იყო, არ ჰყავდა და და ძმა, არ ჰქონდა სათამაშო, არც კატა ჰყავდათ ოჯახში. სალვიას ძალიან შეუყვარდა საჩუქარი და მუდამ ერთად იყვნენ: სადაც არ უნდა წასულიყო სალვია, თან მისდევდა და მიაწკარუნებდა ძეწკვს პაწია ვეფხვი. იმათ დანახვაზე ამბობდნენ:

— აი მოდიან განუყრელი მეგობრებიო.

სალვიამ დაარქვა თავის მეგობარს კრისპი, სალვია აჭმევდა მას რძეს, უკერავდა ბურთს, აწვენდა დასაძინებლად; კრისპიმ დააფასა სალვიას მზრუნველობა და იმის მეტს არც ეკარებოდა. დრო მიდიოდა; კრისპი იზრდებოდა და თანდათან იჩენდა მასში თავს მხეცის მტაცებლური ბუნება.

ერთი წლის შემდეგ თვალსაჩინოდ წამოიზარდა; მეორე წლის თავზე უკვე დასრულებული ვეფხვი შეიქნა და ხშირად ისწორებდა კლანჭებს და კრეჭდა კბილებს.

— დროა გავყიდოთ,— ამბობდა დედა,—თორემ ვინმეს დაკბენს: მართლაც კინალამ დაგლიჯა ვილაცას ცხვარი, ძლივს გამოართვეს კლანჭებიდან. ატყდა აურზაური, შეიკრიბა მეზობლები და მოითხოვდნენ ან მოკალით, ან სამხეცეში მიეცითო. სალვიას ესმოდა ეს, ჩაეკონა კრისპის, მიიმალა კუთხეში და მოართო ტირილი.

— რათ ჰქენი კრისპი, რათ? განა შეიძლება ასეთი საქციელი!—უსაყვედურებდა სალვია ვეფხვს. კრისპი შესცქეროდა ბრიალა, კეთილი, ლმობიერი თვალებით სალვიას და კატასავით კრუტუნებდა; სხვისი ცხვარის დაგლეჯა მას უბარლო საქმედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაჩნდა: უკვირდა კიდეც, რომ ხალხმა ამას ამდენი ყურადღება მიაქცია.

— მაგრამ ეს პირველი და უკანასკნელია ხომ? ამის მეტს ხომ არ იზამ?—ეუბნებოდა სალვია. მეორე დღეს დაბრუნდა მოგზაურობიდან სალვიას მამა, გაიგო ცხვარის ამბავი და მწუხარედ შეიქმუხნა შუბლი.

— შევცდი, რომ შინ მოვიყვანე,—სთქვა მან,—თუ ამ გზას გაჰყვა ცხვარიდან ბავშვზე გადავა, ვინმე ბავშვს დაჰგლეჯს! ხვალვე წავიყვან სამხეცეში!

სალვიას ესმოდა მამის სიტყვები და გული უკვდებოდა. ნუ თუ იმის მეგობარი უნდა გაყიდონ სამხეცეში და იქ გალიაში გამომწყვდეული მყრალ ჰაერში იტანჯოს?! ნუ თუ მუდამ ტყვეობაში დარჩება? არა, ეს შეუძლებელია, მე ამას შევებრძოლები, არავის დავანებებ!

როცა ყველა დაწვა და დაიძინა, სალვია ადგა, ტანთ ჩაიცვა, აიღო ძეწკვი, მოაბა ვეფხვს კისერზე და გაიყვანა ქუჩაში.

— აბა, წავიდეთ! მე შენ უნდა გადაგარჩინო!

ბნელოდა, ვარსკვლავები კაშკაშებდნენ, ქალაქი სდუმდა. სალვია გადავიდა ქუჩიდან ქუჩაზე და უშიშრად გავიდა თავის მეგობრით ქალაქ გარედ მინდორზე. კრისპი მორჩილებით მისდევდა; როცა სამშვიდობოზე გავიდნენ, კრისპის აკოცა განიერ შუბლში, მოხსნა ძეწკვი და აცრემლებულმა აკანკალებული ხმით უთხრა:

— უშველე თავს! არ შინდა რომ სამხეცეში ჩავარდე!

კრისპის თვალები გაუბრწყინდა: თავისუფლად ამოისუნთქა და სიხარულისაგან შეხტა, ერთი მუცელზე გაწვა, გაიზმორა, კიდევ შეხტა და მოკურცხლა სიბნელეში.

სალვია დიდხანს უცქეროდა გულდაწყვეტილი, ერთი მწუხარედ ამოიკვნესა და გაეშურა შინ.

სახლში არ დახვდა, არც დედა არც მამა. იფიქრა გამოქვაბულში წასულან სალოცავადო და დაწვა დასაძინებლად; როცა გამოელვიძა, გათენებულიყო; დედ-მამა კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ, ამან შეაშფოთა სალვია და ლოდინი ტანჯვად გადაექცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღემ მოატანა; დედ-მამა ისევ არ სჩანან. ცეცხლის გაჩაღების და სადილის დამზადების დრო დადგა უკვე.

— სად უნდა იყვნენ ამდენ ხანს,— ფიქრობს სალვია. დაღამდა. მთელი დღე უჭმელი გაატარა და არ იცოდა, რა ექნა. უცბად ვიღაც კარებს უკაკუნებს. სალვია წამოხტა ლოგინიდან და კარებს მიაშურა გასაღებად. აღმოჩნდა მღვდელი, რომელიც საიდუმლოდ მართავდა ხოლმე წირვას ქრისტიანებისათვის.

— მშვიდობა შენდა, სალვია! მოემზადე წამოსასვლელად! ნულარ დაიგვიანებ. ღამით, როცა შენ შინ არ იყავი, დაატუსაღეს შენი დედ-მამა, იმიტომ რომ ისინი ქრისტიანებია. ყველაფერი ღვთის ნებაა! როცა კვდებოდა დედა შენი, მითხრა: უპატრონოდ ნუ მიმიგდებ ჩემ სალვიასაო, და აი მეც მოვედი წასაყვანად....

— როცა კვდებოდაო?!.— თავზარდაცემულმა შეჰკივლა,— განა დედა მოკვდა?!.

— ჰო!—მიუგო მღვდელმა, — დედაცა და მამაც—ორთავენი აწამეს: მხეცებს დააგლეჯინეს.

გოგონას გონება დაებნა, თვალთ დაუბნელდა, ტანში მოდუნება იგრძნო და ცოცხალ-მკვდარი ძირს დაეშვა. როცა მოსულიერდა—ზღვის ტალღის ცემამ გამოაფხიზლა—ის უკვე გემზე იყო; ახლო მღვდელი ეჯდა. სალვიამ თვალი მიავლ-მოავლო იქაურობას, ვარსკვლავები კიანთობდნენ და დაინახა, რომ გემი კარგა მანძილზე დაშორებულია ნაპირიდან.

— სადა ვართ, სად მივდივართ?—იკითხა სალვიამ.

— ზღვაში ვართ, ჩემო გოგონა,—უპასუხა მღვდელმა,— მივდივართ იტალიაში—რომში... იქ ახლა ბლომადაა ქრისტიანები; უფრო საჭირო ვარ რომში, ვიდრე კართაგენში. ნუ გეშინიან! შენ იქ მარტო არ იქნები... იქ ბევრია კეთილი ადამიანები, რომლებიც მზრუნველობას არ მოგაკლებენ; უმჯობესია იძინე, მოისვენე! ჩაიყვანა სალვია საწოლ განყოფილებაში და დააწვინა. სულით დაღლილ სალვიას ზღვის ღელვისაგან გემის ქანაობა აკვანივით იამა და მალე ჩაეძინა. დაესიზმრა კრისპი, დედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა, დიდი ქალაქი რომი, სადაც ცხოვრობდა ქვეყნის მაშინდელი მპყრობელი, ნერონი, რომელიც ჯერ არ უნახავს. რომის მივარდნილ კუთხეში, ერთ ღარიბულ ქოხში ცხოვრობდა ვიღაც დედაბერი, სახელად აზა. აზას არა ჰყავდა მახლობელი და ნათესავი, ცხოვრობდა მარტოდ მარტო და თავს იმით ირჩენდა, რომ ძაფს ართავდა; ის ქრისტიანი იყო. ხშირად ღამით დადიოდა კატაკომბში — მაშინდელ საიდუმლო სამლოცველოში — და ლოცულობდა; გებულობდა ამბებს ქრისტიანების შესახებ.

იქ გაიგო, რომ ნერონს გამოუცია ბრძანება ქრისტიანების დევნის და ტანჯვა-წვალების შესახებ. ამ ამბვით თავზარდაცემული დაეცემოდა მუხლებზე და მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, რათა უფალმა მოალბოს ნერონის გული; შემდეგ დაბრუნდებოდა სახლში და მიუჯდებოდა ნაცად თითისტარს, რომელსაც შეეთვისა პატარობიდან. აზა ღარიბი იყო და არავინ იცნობდა, ამიტომ ცხოვრობდა მშვიდად, წყნარად და დევნას, როგორც ქრისტიანი, არ განიცდიდა: მას გვერდს უხვევდნენ.

ერთხელ საღამოს, როცა კარგად შებინდებული იყო და აზა თავის სართავს უჯდა, ვიღაცამ კარებს დაუკაკუნა. აზა შეკრთა, გულმა ცემას უმატა, მაგრამ წამოდგა და გაეშურა კარის გასაღებად.

მართლაც და ვისი უნდა ეშინოდეს? მას ხომ არაფერი გააჩნია!? ვინ რას დააკლებს? ქოხში შემოვიდა ვიღაცა შავტანისამოსში გახვეული კაცი, თან შემოიყვანა პატარა ქალი.

— მეთოდე! — გაკვირვებით შეჰყვირა აზამ! — ამ შუაღამისას! რამ გაიძულა, ქრისტიანო მღვდელო, ასე გვიან ჩემ ქოხში მობრძანებულიყავი? დიდი ხანია კართაგენიდან მოხვედი?

— ნუ ლაპარაკობ ხმა მაღლა, — უპასუხა მღვდელმა, — შეიძლება გაიგონონ; ყოველი წუთი ძვირფასია. განა არ იცი, რა უბედურება ხდება ამ ჟამად თქვენს რომში? მეფემ გამოსცა ახალი ბრძანება ქრისტიანების დევნის შესახებ. ბევრი დაატყვევეს და კიხეში ყავთ დამწყვდეული. მე განგებ მოვედი რომში იმათ საშველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი ჩემს თვალებს! — ამოიოხრა აზამ, რა დავუშავეთ ჩვენ მეფეს?

— რა ვიცი, — კვნესითვე მიუგო მტვდელმა და განაგრძო, — აი ეს ქალი ობოლია, სახელად სალვია ჰქვიან. ამის მშობლები მხეცებს დააგლეჯინეს კართაგენში. ეს საბრალო მე წამოვიყვანე და არ ვიცი, როგორ ვუპატრონო, სად დავაბინაო, ვიცი რომ ღატაკი ხარ, მაგრამ ნუ თუ არ აიყვან, ვერ მისცემ ბინას? იყავი ამისი მეორე დედა! მონათლულია.

დედაბერი ჩაფიქრდა.

— კეთილი, — იყო პასუხი, — მუდამ მიყვარდა ბავშვები. დარჩეს ჩემთან; კურთხევა ღვთისა ფარვიდეს ამ საცოდავს. ამდენ ხანს საკუთარ თავისთვის ვზრუნავდი, ამის შემდეგ ორთავისათვის ვიშრომებ.

— ღმერთმა გიშველოს, — სიხარულით მიუგო მღვდელმა- ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს; ახლა მშვიდობით, აზა! ვინ იცის, ვნახავთ კიდევ ერთმანეთს თუ არა?...

— ღმერთო ჩემო! სად მიგეჩქარება მამაო მეთოდე? რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს! სად მიდიხარ?

— მოვალეობის მოსახდელად. ჩამოუვლი სატუსაღოებს, პატიმარ ქრისტიანებს ვანუგეშებ; გამხნევება, შემოძახება უნდა და, თუ საჭირო იქნა, მათთან მოვკვდები.

— თუ ასეა, მშვიდობით! — მიუგო აზამ, ცრემლ მორეულმა.

მღვდელი წავიდა; სალვია დარჩა აზასთან. დიდხანს ისაუბრეს, შუაღამე გადავიდა და არ დაწვნენ, არ ეძინებოდათ. როცა გათენდა და მზემ ქოხის ჭრუჭუტანაში სტორცხნა ცხოველ-მყოფელი სხივი, შემდეგი სურათი გადაეშალა: სკამზე ჩასძინებოდა მოხუც აზას, მუხლებზე ჩამომჯდარი, მის კისერზე მოხვეული სალვიაც ტკბილად ხვრინავდა. ორი დღის შემდეგ აზამ გაიგო, რომ მღვდელი მეთოდეც დაუტუსაღებიათ სხვა ქრისტიანებთან ერთად და მიუგდიათ ცირკში მხეცებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოი, ღმერთო, ღმერთო, როდის მოელება ბოლო ამ საშინელებას?! რა დაუშავეთ, რით განვარისხეთ მეფე ნერონი?— წუწუნებდა აზა. მოხუცი აზა გულკეთილი გამოდგა, სალვია დედასავით შეეთვისა მას. დედაბერის კაეშნიან ქოხში სიცოცხლის სხივი შეიტანა სალვიამ. აზაც უსაზღვრო სიხარულს გრძნობდა და ჩუმად, თავისთვის ამბობდა:

— მადლობა ღმერთს, გმადლობ შენ ღმერთო!

სალვია მალე შეეჩვია ახალ ცხოვრებას, ისიც მიუჯდებოდა სართავს და ღიღინებდა:

იტრიალე, ითამაშე, ჩემო თითისტარო,
რომ ცხოვრება ბედნიერი კარგა გავატარო.

დაუდგა აზას და სალვის ბედნიერი თვეები: არაფერი არ აწუხებდათ, ქრისტიანების დევნა და წვალება დროებით შეჩერდა; შვილობილ-დედობილიც აზა და სალვიაც დამშვიდდნენ.

„ალბად იმპერატორი გვაპატიებს“, ფიქრობდა აზა. „შეიძლება ნება დაგვრთო კიდეც, რომ თავისუფლად ვილოცოთ ქრისტე, მე კი ვზივარ აქ და არა ვიცი რა! ღმერთო როგორ მინდა სალვიას დაქალება მომესწრებოდეს!

მაგრამ იმისი ნატვრა გაცრუვდა: მეფე ნერონი არ ეკუთვნოდა ისეთებს, რომლებმაც მიტევება იციან. რომს ცეცხლი გაუჩნდა; გადაიწვა ქალაქის მესამედი, და ვილაცამ მოახსენა მეფეს, რომ ცეცხლი ქრისტიანებმა გააჩინესო. იმ წამსვე გასცა ბრძანება ნერონმა ქრისტიანების დატუსაღების და წვალების შესახებ. ისევ დაიწყო ქრისტიანების დევნა, იჭერდნენ ეჭვით. არ არჩევდნენ მტყუანსა და მართალს. საბრალო ქრისტიანები მიყავდათ ვეებერთელა ცირკში და მეფის და აუარებელი მაყურებლების თვალწინ აგლეჯინებდნენ მხეცებს, ეს იყო საშინელი სანახაობა. ამ უბედურებას ვერ ასცდა აზა და სალვია. ესენიც დაატყვევეს; სულის შემზარავი სურათი იყო იმათი დატუსაღება: რამდენი არ ემუდარა აზა ერთად წაეყვანათ დედობილ-შვილობილი, მაგრამ არ შეიწყნარეს გააცალკევეს. ცირკში გამოყვანამდი დღე და ღამე გააჩერეს საბრალონი სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა სატუსაღოში; საწყლები სტიროდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს. სულით მოღლილნი შეურიგდნენ ბედს და კანკალით მოელოდნენ განკითხვის წუთს.

დაიწყო ცირკში საშინელი ინკვიზიცია; ცირკის მოედანის გარშემო იყო სატუსაღო, რომლის სარკმლიდან სცენას გაჰყურებდნენ ტყვე ქრისტიანები. ცირკის ზედა ადგილები ეჭირა ხალხს; ტაშს უკრავდნენ და მოითხოვდნენ წარმოდგენის დაწყებას.

ლოჟაში გამოჩნდა ნერონი.

— იმპერატორი! იმპერატორი! — ელვის სისწრაფით მოედო ეს ხმა ცირკს და ხალხმა ხმა გაკმინდა. ნერონი დაჯდა მოოქრულ სავარძელში და კარის კაცებით შემოფარგლულმა ბრძანა:

— დაიწყეთ!

გაიღო რკინის კარები და მოედანზე გამოვიდა ქრისტიანების ჯგუფი. გაიღო მეორე კარები და გამოხტნენ ლომები; მიიხედ-მოიხედეს, დაუშვეს კუდები და მიუახლოვდნენ განწირულებს. გამოუშვეს მოედანზე აზა და სალვიაც; ისინა გამოუშვეს სხვა და სხვა სატუსაღოდან, არ იცოდნენ, რომ მახლობელნი არიან. დაინახეს ერთმანეთი თუ არა, გახარებულნი გადაეხვივნენ ერთმანეთსა

— სალვია!

— ბებია!.. — და ორთავეს წასკდათ ტირილი. უცბად დედაბერი შეკრთა და აკანკალებული ხმით სთქვა:

— გაიხედე!

სალვია მიტრიალდა; ვეებერთელა ვეფხვი უახლოვდებოდა მათ და პირს აწკლაპუნებდა; დედაბერი დაეშვა მუხლებზე და ლოცვა დაიწყო. ქალიშვილი-კი, რომ საყვარელი დედობილი გადაერჩინა ჩადგა ვეფხვისა და აზას შუა; ვეფხვი შედგა და პირი დამუწა. ამას მოჰყვა გასაშტერებელი სურათი: ვეფხვი დაეშვა მუცელზე და ალერსით, შინაურ კატასავით მიცოცდა სალვიასთან. სალვიამ იცნო ის და გაუწოდა ხელი.

— კრისპი! ჩემო კარგო, ძვირფასო კრისპი! — შეჰკივლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალვიამ. კრისპი მიცოცდა სალვიასთან და დაუწვა ფეხებთან. სალვია მოეხვია ვეფხვს და მიეყრდნო ლოყით ტუჩზე...

ნერონი იჯდა თავისთვის ლოჟაში და ცნობისმოყვარეობით უყურებდა ამ სურათს. უცბად ხმა მაღლა გადაიხარხარა. ცირკი დადუმდა.

— ასეთი ამბავი ხომ იშვიათია!—გაისმა ნერონის მხიარული ხმა,—ძალიან მომეწონა ეს პატარა გმირი! გაანთავისუფლეთ... მასთან ის დედაბერიც!.

იმ წამსვე შეასრულეს მბრძანებლის სურვილი. პატარა სალვიამ მოჰკიდა ვეფხვს კისერში ხელი და გაიარა მოედანზე. შემდეგ ისინი დააშორეს. კრისპი დაამწყვდიეს გალიაში, ხოლო სალვია და აზა წავიდნენ სახლში. ამის შემდეგ იმათ აღარავინ აწუხებდა; როცა გაივლიდნენ ქუჩაში, ხალხი ამბობდა: აი, გახედეთ, ორი წმინდანი მიდისო.

ვეფხვმა გაათავა საუბარი და გაჩუმდა. გაჩუმდა სამხეცეც. გარედან-კი მოისმოდა ცივი ქარის სისინი.

ალ. მითაიშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ობლები — სურ. 1
2. რატომ აღარ გალობს ბულბული შუადღისას, — ლექსი ბაჩანასი. 2
3. მოგონებანი, — მოთხრობა გ. გოგუაძისა. 6
4. გაფიცვა, — (დასასრული) ა. ფანტულაიასი. 15
5. ...და დავბრუნდები...,— ლექსი მიმქრალიისა. . . . 23
6. ლურჯი ფრინველი, — ფეერია 6 მოქ. ლ 12 სურ. (შემდეგი) მ. მეტერლინკისა, ფრანგულით გიორგი ჯაბადრისა. 25
7. ძველი და ახალი, — (თარგმანი) ჯაფარ ფაშასი. . . . 40
8. მიწისძვრა გორში, — ლ. კრემერისა. 43
9. თამრიკო, — ლექსი გ. ქუჩიშვილისა. 51
10. მიწისძვრა (იგავი) ალ. მირიანაშვილისა. 52
11. სამხეცეში: ვეფხვის ნაამბობი, — თარგ. ალ. მათაიშვილისა. 53

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1920

წლისათვის

დასურათებული
საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების საქმისა-
საგან. გაძ[illegible]ის გაფართოებული პროგრამით საგან-
გებოდ [illegible]ვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-
ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150	მან.
ცალ-ცალკე.	85	„
ნახევარი წლით	90	„

მისამართი: თბილისი „**ნაკადულის**“ რედაქცია, რუსთაველის (ეროვილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.

სტამბა ქალაქთა კავშირისა.